ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლება

გზამკვლევი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2022

ავტორები:
ნინო ფრუიძე
მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი

გზამკვლევზე მუშაობდა:
თამარ ჟღენტი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი.

დიზაინი:
ანა ჯიხვაშვილი

სარჩევი

შესავალი 4

რას ვგულისხმობთ ადრეულ და სკოლამდელ ინკლუზიურ განათლებაში?..... 5

ბავშვები, რომლებსაც დამატებით მხარდაჭერა სჭირდებათ..... 11

ბავშვების დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება - ბავშვების გაცნობა..... 15

მშობლის ინფორმირება ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ..... 23

მშობელთან შეხვედრისას განსახილველი საკითხები..... 26

ბავშვის თავისებურებებში გარკვევა დამატებით მხარდაჭერის მიზნობრივად
განსაზღვრის მიზნით 30

ბავშვის მხარდაჭერის გეგმის დასახვა..... 32

დამატებითი მხარდაჭერის ორგანიზება ბაღის გარემოში..... 38

განსხვავებულობებისადმი ტოლერანტული გარემო..... 43

დამატებითი მხარდაჭერის ჯგუფის გარემოში მიღების მნიშვნელობა..... 47

მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება ბაღის გარემოში..... 49

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა..... 64

თანამშრომლობა თემში არსებულ ბავშვის მხარდამჭერ უწყებებთან..... 66

ბაღის ადმინისტრაციის როლი და პასუხისმგებლობა ინკლუზიური
გარემოს ფორმირებაში..... 73

ბაღის ადმინისტრაციის მხრიდან ბავშვების საჭიროებებში გარკვევა
და მათზე რეაგირება..... 74

შიდა და გარე რესურსების მობილიზება ბავშებისთვის დამატებითი
მხარდაჭერის მისაწოდებლად..... 76

ბავშის მხარდაჭერის მონიტორინგი..... 78

დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების ადრეული
რეგისტრაციის მნიშვნელობა 79

ადრეული რეგისტრაციისას იდენტიფიცირებული ბავშვების საჭიროებებზე რეაგირება.. 81

საყოველთაო რეგისტრაციის დროს დარეგისტრირებული ბევშვების
საჭიროებებზე რეაგირება..... 83

ბაღში ინკლუზიური გარემოს განვითარების სტრატეგიული გეგმის არსებობა..... 83

შესავალი
გზამკვლევის შესახებ

მოცემული გზამკვლევი შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იმისათვის, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში (შემდგომში საბავშვო ბაღი) მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესები პასუხობდეს ყველა ბავშვის თავისებურებებს და საჭიროებებს და დაეხმაროს საბავშვო ბაღებს ინკლუზიური და, შესაბამისად, ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ყველა ბავშვისათვის მიწოდებაში. მასში თავმოყრილია ის ინფორმაცია და პრაქტიკული რჩევები, რომლებიც დაეხმარება დაწესებულებებს მიმდინარე პროცესების ინკლუზიური განათლების პრინციპების მიხედვით დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ვინაიდან, ინკლუზიურობა ხარისხიანი განათლების მახასიათებელია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემები იყოს ინკლუზიური. ხშირად ტერმინი ინკლუზიური განათლება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასთან ასოცირდება. თუმცა, ეს ასე არ არის, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ნათლად გვეუბნება, რომ ინკლუზიური განათლება ეხება ყველა ბავშვს. კანონის მიხედვით ინკლუზიური განათლება არის „საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა“ (მუხლი 3, პუნქტი „ლ“) .

გზამკვლევში მოცემულია ინფორმაცია, სტრატეგიები და კონკრეტული რჩევები, რომლებიც დაგვეხმარება განსხვავებული ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლის მქონე ბავშვებს ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების პროცესი შევთავაზოთ, რაც მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას უზრუნველყოფს. გზამკვლევზე მუშაობისას ავტორებმა შეისწავლეს ინკლუზიურ ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული ლიტერატურა, სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული გამოცდილება, საქართველოს ბაღებში არსებული სიტუაცია და ის გამოწვევები, რასაც ყოველდღიურად აწყდებიან ბაღების თანამშრომლები და ხელს უშლის მათ ხარისხიანი განათლების მიწოდებაში. შესაბამისად, გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია მორგებულია ქართულ რეალობას და ცდილობს ზუსტად იმ კითხვებს გასცეს პასუხი, რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებსა და გადაწყვეტილებების მიმღებებს.

გზამკვლევის გამოყენება

ეს გზამკვლევი იმ სპეციალისტებისთვისაა, რომლებიც ცდილობენ ყველა ბავშვისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას და საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესების მორგებას ცალკეული ბავშვის თავისებურებებზე, შესაძლებლობებზე, განვითარების დონეზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე. ეს ადამიანები შეიძლება დასაქმებული იყვნენ როგორც მუნიციპალიტეტების მერიის სხვადასხვა სამსახურებში, ასევე ბაგა-ბაღების მართვის სტრუქტურებში (სააგენტო, გაერთიანება, ცენტრი და ა.შ.) და უშუალოდ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ანუ ბაღებში.

რას ვგულისხმობთ ადრეულ და სკოლამდელ ინკლუზიურ განათლებაში?

ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომლის პირობებშიც ყველა ბავშვი, გამონაკლისის გარეშე, იღებს ხარისხიან, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და თავისებურებებზე მორგებულ განათლებას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ განურჩევლად იმისა, როგორია ბავშვი ფიზიკურად, რა შეუძლია და რაში სჭირდება დახმარება, რომელ ეთნიკურ ჯგუფსა თუ რასას განეკუთვნება, რა ენაზე საუბრობს, რომელი რელიგიური აღმსარებლობის არის, მას ისეთივე საგანმანათლებლო მომსახურება უნდა გავუწიოთ, როგორც განსხვავებული მახასიათებლების მქონე ბავშვებს.

ადრეული ინკლუზიური განათლების სფეროში ბოლო წლებში განხორციელებული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, ყველა ბავშვის თანასწორი ჩართვა ხარისხიან ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში კვლავ გამოწვევად რჩება. სფეროს მარეგულირებელი ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორებიცაა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები გამოყოფენ და აღწერენ იმ მნიშვნელოვან ვალდებულებებს, ცოდნასა და კომპეტენციებს, რომლებიც ბაღებში დასაქმებულ ადამიანებს სჭირდებათ ყველა ბავშვისათვის ისეთი მომსახურების მისაწოდებლად, რომელიც მორგებული იქნება მათ საჭიროებებსა და თავისებურებებს.
„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” საქართველოს კანონი ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს უზრუნველყონ თანაბრად მისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდაისა და განათლება (მუხლი 10, პუნქტი 1, ქვეპუნტქი „ბ“). ეს ნიშნავს, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემა ერთნაირად ხარისხიან მომსახურებას უნდა სთავაზობდეს ბავშვს, რომელსაც შეიძლება გადაადგილების შეზღუდვა ჰქონდეს, არ საუბრობდეს ქართულ ენაზე, სხვა ბავშვებზე მეტად ჰქონდეს განვითარებული რომელიმე

უნარი და სხვა.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა უზრუნველყოს უკლებლივ ყველა ბავშვის ჩართულობა და მონაწილეობა ბაღში მიმდინარე მრავალფეროვან პროცესებში, და ამ გზით უზრუნველყოს თითოეული მათგანის ჰოლისტური განვითარება.

პრაქტიკაში კი ეს ნიშნავს, რომ:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება აცნობიერებს და აქვს მიმღებლობა იმისა, რომ იმის მიუხედავად, რომ ბავშვები გარკვეული კანონზომიერების მიხედვით ვითარდებიან, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ერთ ასაკობრივ ჯგუფში შესაძლებელია ვხვდებოდეთ ბავშვებს, რომლებიც ერთმანეთისგან მრავალი ნიშნით განსხვავდებიან.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება ხედავს ბავშვებს შორის არსებულ მრავალფეროვნებას და ითვალისწინებს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისას.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თანამშრომლები იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს ადრეული და სკოლამდელი განათლების მიწოდების პროცესში.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება. მულტიდისციპლინური გუნდი შეიძლება დაწესებულებაშივე ფუნქციონირებდეს. ასევე, შესაძლებელია მულტიდისციპლინური გუნდი არსებობდეს დაწესებულების გარეთ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის ერთეულის ბაზაზე, რომელიც მომსახურებას გაუწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაღებს.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება თანამშრომლობს მშობლებსა და თემში არსებულ ბავშვის მხარდამჭერ სხვა ორგანიზაციებთან.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ორგანიზებულია ბავშვის მხარდაჭერის პროცესის მონიტორინგი.

სანამ იმაზე ვისაუბრებთ, როგორ უნდა მოხდეს ბაღის დონეზე ინკლუზიური განათლების მიწოდება, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ რამდენიმე მოცემულობა, რომელთა გააზრების გარეშეც ძალიან გაგვიჭირდება ინკლუზიური განათლების არსის სრულყოფილად გაგება და მოცემულ გზამკვლევში წარმოდგენილი სტრატეგიების დანერგვა:

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ბავშვის განათლებას - ხშირად ინკლუზიური

1 განათლება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვების მომსახურებასთან ასოცირდება. თუმცა, როგორც შესავალშივე ვნახეთ, ინკლუზიურობა ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას გულისხმობს. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი მოცემულობა გასდევს მთავარ პრინციპად წინამდებარე გზამკვლევს.

2 ყველა ბავშვი უნიკალურია - ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ბავშვის უნიკალურობის აღიარება და პატივისცემა და ისეთი გარემოს შეთავაზებაა, რომელიც შექმნილია ბავშვის წარსული გამოცდილებების, არსებული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე. ვინაიდან, ყველა ბავშვი განსხვავებულია ინკლუზიური განათლების მომსახურება ყველასთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ განურჩევლად ბავშვის საჭიროებისა - აქვს სამედიცინო საჭიროება, არის ეთნიკური/ლინგვისტური უმცირესობების წარმომადგენელი, თუ რთული ქცევის მქონე - ის ბავშვია და შესაბამისად, უფრო მეტი მსგავსება აქვს სხვა ბავშვებთან ვიდრე განსხვავებულობა.

3 ბავშვის თავისებურებები, საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები უმთავრესია ხარისხიანი განათლების პროცესების დაგეგმვა/წარმართვისას - ინკლუზიური განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, როგორც ვნახეთ, ბავშვების ცალკეული თავისებურებების, საჭიროებებისა და ინტერესების ამოცნობა და შემდეგ პროგრამის ამ თავისებურებების, საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით წარმართვაა.

4 ჯგუფის თავისებურებები, საჭიროებები და ინტერესები - გარდა ცალკეული ბავშვის მახასიათებლისა, ინკლუზიური განათლების მიწოდებისას ყურადღებას ვაქცევთ ჯგუფის თავისებურებებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამის გარეშე შეიძლება მოხდეს ისე, რომ ცალკეულ ბავშვზე მორგებული გარემო არ იყოს შესაფერისი მთელი ჯგუფისათვის. ხშირად ინკლუზიური განათლება, განსაკუთრებით, როდესაც ეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს ეხება, გაიგივებულია მხოლოდ ამ ბავშვების პირისპირ სწავლებასთან, თუმცა, ეს ასე არ არის და ინდივიდუალიზაცია სწორედ ყველა ბავშვის და მთლიანი ჯგუფის შესაძლებლობის გაზრდასა და პოტენციალის გამოვლენას წარმოადგენს.

5 ხელმისაწვდომობა ხარისხის გარეშე არაეფექტურია - ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ბაღის ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, ანუ ბაღში სიარულის შესაძლებლობას. მომსახურება მაშინ არის ხარისხიანი და ინკლუზიური, როდესაც ბავშვები, ყველა პროცესში, იქნება ეს თამაშები, თუ სხვა საქმიანობები თანაბრად მონაწილეობენ მათი შესაძლებლობების, ინტერესებისა თუ თავისებურებების გათვალისწინებით.

6 დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება სჭირდებოდეს როგორც სპეციალური საჭიროების, ასევე, ტიპური განვითარების მქონე ბავშვებს - გაცნობის, მშობლებთან და ბავშვთან გასაუბრებისა და დაკვირვების საფუძველზე, აღმზრდელებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ ზოგიერთ ბავშვს შეიძლება დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებოდეს. მაგალითად, აღმზრდელმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ რომელიმე ბავშვს უჭირს სახატავი საშუალების ხელში დაჭერა, ან რომელიმე ბავშვისათვის ბაღის პროგრამა და დაგეგმილი აქტივობები ძალიან მარტივი და უინტერესოა. ვინაიდან, დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება ნებისმიერ ბავშვს დასჭირდეს, მოცემულ გზამკვლევში ტერმინ შშმ/სსმ ბავშვის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი - ბავშვი, რომელსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება.

ამ მოცემულობების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, ვინაიდან,

ყველა ბავშვი უნიკალური და განსხვავებულია თავისი განვითარების, შესაძლებლობებისა და ინტერესების კუთხით, ისინი ასევე შეიძლება განსხვავებულად სწავლობდნენ, ითვისებდნენ ახალ ცოდნას და ვითარდებოდნენ. რაც ერთი ბავშვისთვის შეიძლება სასარგებლო და მრავლის მომცემი გამოცდილება იყოს, სხვა ბავშვისთვის ის შეიძლება არაფრის მომტანი აღმოჩნდეს. ამის ყველაზე მარტივი მაგალითი ბაღის შერეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების განსხვავებული განვითარება და საჭიროებებია. თუ შედარებით პატარებისათვის ფერების ამოცნობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ განვითარებას, შედარებით უფროსებისათვის ასეთ გამოცდილებას შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა მათ განვითარებასა და ცოდნის შეძენაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, დაწესებულება იმგვარ გამოცდილებებს სთავაზობს ბავშვებს, რომლებიც ყველა მათგანისთვის ერთნაირად სასარგებლო იყოს - უმცროსებმა ამოიცნონ ფერები, უფროსებმა კი აღწერონ ნახატზე გამოსახული მოვლენები.
არსებობს შემთხვევები, როდესაც ინკლუზიური განათლების პრინციპებიდან გამომდინარე, აქტივობის ასეთი მარტივი ადაპტირება არ აღმოჩნდეს საკმარისი და აღმზრდელ-პედაგოგს სხვა სპეციალისტების დახმარებაც დასჭირდეს, რასაც უფრო დეტალურად გზამკვლევის მომდევნო თავებში განვიხილავთ.

ინკლუზიური განათლების პრინციპების მიხედვით, ბაღში მიმდინარე პროცესების დაგეგმვისას, აუცილებელია იმის გააზრებაც, თუ რამდენად სასარგებლო იქნება დაგეგმილი საქმიანობები არა მხოლოდ იმ კონკრეტული ბავშვისათვის, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, არამედ, მთელი ჯგუფისათვის. მაგალითად, თუ ჯგუფში განსხვავებული ენის, კულტურისა თუ ეთნიკური წარმოშობის ბავშვები არიან, აღმზრდელ-პედაგოგმა შეიძლება დაგეგმოს აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ცოდნის მიღებას სხვადასხვა კულტურების, ქვეყნების და ეთნოსების შესახებ. ამგვარი აქტივობა სასარგებლოა როგორც არაქართულენოვანი, განსხვავებული კულტურისა თუ ეთნიკური წარმოშობის ბავშვის, ასევე, ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის.

დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება გახდეს საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს არ აქვს გამოკვეთილი განსაკუთრებული საჭიროება და მხოლოდ გარკვეული უნარები არ არის სხვების მსგავსად განვითარებული. მაგალითად, ჯგუფის სხვა წევრებზე უმცროსია, ან უჭირს ურთიერთობის დამყარება სხვა ბავშვებთან, განსაკუთრებული მონაცემები აქვს, გარკვეული ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ტრავმა აქვს გადატანილი და სხვა.



ბავშვები, რომლებსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ

ბავშვების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ბაღში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომლებსაც სპეციფიური და დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ იმისათვის, რომ შეძლონ ბაღში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებში თანამონაწილეობა, ჩართვა და განიცადონ პროგრესი.

აღნიშნული სპეციფიური და დამატებითი მხარდაჭერა შესაძლებელია დასჭირდეთ ბავშვებს ლინგვისტურ უმცირესობათა ოჯახებიდან, ბავშვებს, რომლებსაც აღენიშნებათ განვითარების ერთი ან რამდენიმე სფეროს (ფიზიკური და სენსორული, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების და სხვ.) დაყოვნება, განვითარების დარღვევა, ჯანმრთელობის თავისებური მდგომარეობა, ემოციური სფეროს თავისებურება - გადატანილი ტრავმა, სტრესი, ან სოციალური კონტექსტით განპირობებული საჭიროება და ა.შ.

ამ შემთხვევაში, დაწესებულების პასუხისმგებლობაა იმ ბავშვების იდენტიფიცირება, რომლებსაც დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროებათ, მათ საჭიროებებში გარკვევა, გათვალისწინება და მათზე მართებულად რეაგირება სპეციფიურად წარმართული ღონისძიებების (ინტერვენციის) საფუძველზე.

ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვებს, რომლებსაც ბაღში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება აღენიშნებათ, შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი შესაბამისი სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე, და/ან მოგვიანებით, სკოლის საფეხურზე მოხდეს მათთვის სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. მართალია, ხშირად ბაღის თანამშრომლები და სხვა სპეციალისტები დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვებს მოიხსენიებენ, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ, ეს სტატუსი დღესდღეობით სკოლამდელი განათლების საფეხურზე ფორმალურად არ ენიჭება ბავშვს.

ეს საინტერესოა !!!

რა სარგებელი აქვს ბავშვისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მიღებას?

იმისათვის, რომ ბავშვმა მიიღოს სახელმწიფო უწყებებისგან შესაბამისი მხარდაჭერა, აუცილებელია მას ქონდეს შესაბამისი სტატუსი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებით სახელმწიფოს მხრიდან ხდება იმ ბავშვების იდენტიფიცირება, რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება პასუხისმგებელი უწყებისგან - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტატუსის მინიჭებით პასუხისმგებელი უწყება უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროების (სპეციალური საგანმანათლებლო ან შეზღუდული შესაძლებლობის) მქონე კონკრეტული ბავშვის იდენტიფიცირებას და მისკენ წარმართავს საჭირო მხარდაჭერას. მაშასადამე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი არის შესაძლებლობა და წინაპირობა ბავშვმა სახელმწიფოსგან მიიღოს საჭირო დამატებითი მხარდაჭერა.

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პრის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის დადასტურების შემდეგ, ბავშვი ხდება სახელმწიფოსგან იმ დამატებითი მხარდაჭერის მიმღები, რომლის საფუძველზეც უნდა შემცირდეს ის სირთულეები, რომელსაც განიცდის ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში და სასწავლო პროცესში და რომლის საფუძველზეც უნდა გაიზარდოს ბავშვის ჩართულობა და მონაწილეობა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს სტატუსის დადასტურების შემდეგ

სოციალური პაკეტი/პენსია - არის თანხა რომელსაც სახელმწიფო უხდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს იმისთვის, რომ მოხდეს იმ დამატებითი ხარჯის დაფარვა, რომელიც ოჯახს ექმნება ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

ჯანდაცვის მომსახურება - მოიცავს ისეთ მომსახურებებს როგორიცაა ექიმთან ვიზიტი, სხვადასხვა სახის გამოკვლევა, მედიკამენტები, რომელთა მიღებაც უფასოდ ან შეღავათიანი ფასით ხდება.

სოციალური მომსახურება - გულისხმობს ისეთ მომსახურებებს, როგორიც არის ფიზიკური თერაპია, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და ასევე სხვადასხვა სახის დამხმარე საშუალებების, მაგალითად, სავარძელ-ეტლის, სასმენი აპარატის და სხვა, უზრუნველყოფა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს სტატუსის დადასტურების შემდეგ

- სპეციალური პედაგოგის მომსახურების მიწოდება
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ინდივიდუალური ასისტენტის და/ან სხვა დამატებითი სპეციალისტის დანიშვნა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების უფლების მინიჭება
- ინდივიდუალური განრიგით სარგებლობის უფლების მინიჭება
- სასწავლო აქტივობების შესასრულებლად დამატებითი დროით სარგებლობის უფლების მიცემა
- დამატებითი სასწავლო ინვენტარი და მასალა
- გარემოს ადაპტირება ბავშვისთვის
- სხვა

აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლებისაგან განსხვავებით, ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვებისთვის, მათი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში არ ხდება ოფიციალური სტატუსის მინიჭება (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი, ან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი). ეს, ერთი მხრივ, შეიძლება დადებით ტენდენციად შეფასდეს, რადგან ბავშვების კატეგორიზაცია შესაძლებელია გახდეს მათი დისკრიმინაციის და სტიგმატიზაციის საფუძველი. ასევე, სკოლამდელ საფეხურზე ფორმალური სტატუსის მინიჭების საჭიროება ნაკლებად დგას, რადგან ხშირად ადრეულ და/ან სკოლამდელ ასაკში არსებული სირთულეები წარმოადგენს მეტად დროებით და გარდამავალ მდგომარეობას, და ბავშვები გარკვეულ შემთხვევებში უმკლავდებიან და სძლევენ განვითარების თავისებურებებს. ეფექტურად დაგეგმილმა და წარმართულმა ადრეულმა და სკოლამდელმა განათლებამ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, იმდენად პოზიტიური როლი ითამაშოს ბავშვის განვითარებაზე, რომ ზოგადი განათლების საფეხურზე დამატებითი სტატუსის და ინტერვენციის პრევენცია მოახდინოს.

მაგალითად, გააუმჯობესოს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარები, რის გამოც, ბავშვს სკოლაში სირთულეები და პრობლემები აღარ შეექმნება. შესაბამისად, სრულიად დასაშვებია, რომ ბავშვებს, რომლებსაც სკოლამდელი განათლების საფეხურზე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება აღენიშნებათ, საერთოდაც არ დასჭირდეთ სპეციფიური ინტერვენცია ზოგადი განათლების საფეხურზე და მათთვის დამატებითი სტატუსის - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე - მინიჭების საჭიროებაც არ დადგეს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ სკოლამდელი განათლების საფეხურზე არ უნდა ხდებოდეს იმ ბავშვების იდენტიფიცირება, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება სჭირდებოდეს და არ ავიღოთ პასუხისმგებლობა მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული გზამკვლევის ფარგლებში, აქცენტი კეთდება არა ბავშვის ფორმალურ სტატუსსა და შესაძლებლობაზე, არამედ, ბავშვის ქცევასა და გამოცდილებაზე, რომელიც მიგვითითებს, რომ კონკრეტულ ბავშვს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება. შესაბამისად, იმ ბავშვების აღსანიშნად, რომლებსაც ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე სხვადასხვა მიზეზით სტანდარტულზე მეტი მხარდაჭერა ესაჭიროებათ, გამოყენებული იქნება ტერმინი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი ან ბავშვი, რომელსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, რაც არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატუსს და არ ასოცირდება განვითარების ან ჯანმრთელობის ამა თუ იმ დარღვევასთან.

ბავშვების დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირება - ბავშვების გაცნობა

ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე მნიშვნელოვანია ბავშვების დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების ადრეული იდენტიფიცირება და ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის მშობელი და ის საგანმანათლებლო პერსონალი , რომელიც უშუალო და ყველაზე ინტენსიურ კომუნიკაციაშია ბავშვთან. დამატებით მხარდაჭერის საჭიროებასთან ერთად აუცილებლად უნდა მოხდეს ბავშვების ძლიერი მხარეებისა და ინტერესების დადგენაც, რადგან სწორედ ამას უნდა ეფუძნებოდეს ის გამოცდილებები, რასაც ბაღში ბავშვებს შევთავაზებთ.

ბავშვების ძლიერი მხარეების, ინტერესებისა და დამატებითი საჭიროების იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალება ბავშვების გაცნობაა. ეს პროცესი კი ბაღში მოსვლამდე იწყება და გრძელდება მათი დაწესებულებაში სიარულის დროსაც. ბავშვის თავისებურებების და დამატებითი საჭიროების შესახებ შესაძლებელია ცნობილი გახდეს რამდენიმე გზით.

ბავშვებთან საუბარი და დაკვირვება: ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ პირველადი ვარაუდი საგანმანათლებლო პერსონალს შეიძლება ბავშვის გაცნობის, მასთან აქტიური კომუნიკაციის შემდეგ გაუჩნდეს. ამიტომ, სასურველია, ბავშვი საგანმანათლებლო წლის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე გავიცნოთ: შევხვდეთ მას და გავესაუბროთ, დავუსვათ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა სხვადასხვა საკითხზე. ქვემოთ ასეთი საკითხების და შეკითხვების მაგალითებია მოცემული, რომელსაც სანიმუშო მიზნები აქვს, რათა უფრო ნათლად დაანახოს ბაღის თანამშრომლებს, რა შეიძლება გავიგოთ ბავშვებისგან და რა დაეხმარება მათ საკითხებისა და შეკითხვების ნუსხის მომზადებაში, რომელიც ბავშვის ასაკსა და ბაღის/ჯგუფის თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს.

სახლი და ოჯახი	- ვინ ცხოვრობს შენთან ერთად? - რა ენაზე საუბრობთ სახლში? - გყავს თუ არა შინაური ცხოველი? - როგორ ეხმარები ოჯახის წევრებს? - ისინი როგორ გეხმარებიან? - რისი კეთება გიყვარს, როდესაც სახლში ხარ?
საყვარელი საქმიანობები და ნივთები	- მომიყევი შენს საყვარელ სათამაშოზე, თამაშზე, სიმღერებზე, წიგნებზე, ზღაპრის ან მულტფილმის გმირზე. - რომელია შენი საყვარელი საქმელი? ცხოველი? რატომ? - რითი გიყვარს მგზავრობა? კიდევ რისი კეთება გიყვარს? - სად გიყვარს წასვლა? (ეზოში, ბებოსთან, სტუმრად, სხვა)
მეგობრები და ახლობლები	- ვისთან გიყვარს დროის გატარება/თამაში? რას აკეთებთ ხოლმე ერთად? - მომიყევი ვისთან მიდიხარ, როდესაც დახმარება გჭირდება.
მე და ემოციები	- რა გაშინებს და გაღელვებს? - რა არ გიყვარს/მოგწონს? - რა გამშვიდებს, რა გახარებს? - რაში გჭირდება დახმარება? - შენი აზრით, რა გამოგდის კარგად? რაში ხარ მაგარი?

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაცნობისა თუ სხვა ნებისმიერ დროს ბავშვთან საუბრისას ბაღის თანამშრომელი ინტერესით უსმენდეს ბავშვს და აგრძნობინებდეს, რომ ესმის მისი. ხშირად უფროსები თვლიან, რომ დაეხმარებიან ბავშვებს უარყოფითი ემოციების და გამოცდილებების დაძლევაში, თუ ეტყვიან ან აგრძნობინებენ, რომ არ ღირს ამაზე ნერვიულობა: „რისი გეშინია? შენ დიდი გოგო/ბიჭი არა ხარ?“, „ასეთი უმნიშვნელო რამის გამო არ უნდა გაბრაზდე/ინერვიულო“. ეს ბავშვების ემოციების უგულებელყოფის გამომხატველი ფრაზებია და მსგავსი ფრაზების გამოყენებისგან თავი უნდა შევიკავოთ ბავშვებთან ურთიერთობისას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის მოსმენა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გაცნობის, არამედ, ბავშვების დაწესებულებაში სიარულის ეტაპზეც. ბავშვის თავისებურებების, შესაძლებლობების და ინტერესების დადგენის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალი ყურადღებით უნდა უსმენდეს ბავშვს მაშინაც, როდესაც ის საკუთარი ინიციატივით მიმართავს, მაშინაც, როდესაც ეკითხებით რაიმეს. ასევე, მაშინაც, როდესაც მას სხვა ბავშვებთან ან უფროსებთან აქვს კომუნიკაცია. რაც მთავარია, ბავშვის ნათქვამს იმახსოვრებთ, რათა შემდგომში გამოიყენოთ ბავშვის თავისებურებებისა თუ ბაღის გარემოს სხვადასხვა ასპექტების შეფასებისას.

ვინაიდან, ბავშვების საკუთარი აზრის გადმოცემის და მეტყველება/კომუნიკაციის უნარი განვითარების პროცესშია, ისინი ხშირად ვერ აღწერენ ზუსტად იმას, რისი თქმაც უნდათ, რასაც გრძნობენ და რაც აწუხებთ. ბავშვებისათვის რთულია იმის აღქმა, რომ მათ დახმარება სჭირდებათ, ამიტომ მხოლოდ მათი მოსმენა არ არის საკმარისი. შესაბამისად, სკოლამდელი ასაკის ბავშვების გაცნობის საუკეთესო საშუალება ბავშვებზე დაკვირვებაა.

სწორედ ამიტომაა მიჩნეული, რომ დაკვირვება საგანმანათლებლო პროცესის ბავშვების ინტერესების მიხედვით დაგეგმვის და წარმართვის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. საგანმანათლებლო პერსონალი მუდმივად აკვირდება ბავშვებს, აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს და ამ ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე ადგენს, თუ რა საქმიანობები იქნება საუკეთესო კონკრეტული ჯგუფის ბავშვების სწავლისა და განვითარებისთვის. დაკვირვება რეგულარული და თანმიმდევრული პროცესია. სწორედ ეს რეგულარულობა და თანმიმდევრულობა ეხმარება ბაღის პერსონალს ბავშვების ცვლილებებისა და მიღწევების დანახვაში. დაკვირვების, შესაბამისი ჩანაწერების წარმოების და ამ ჩანაწერების ანალიზის პროცესი კარგადაა ნაცნობი ბაღების საგანმანათლებლო პერსონალისთვის და დეტალურადაა აღწერილი მათთვის განკუთვნილ სხვადასხვა რესურსებსა თუ სახელმძღვანელოებში.

თუმცა, ამ გზამკვლევის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სწორედ დაკვირვების საფუძველზე შეიძლება შენიშნოს საგანმანათლებლო პერსონალმა, რომ ბავშვს დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროება ამა თუ იმ მიმართულებით. დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების დადგენა დაკვირვების საფუძველზე იწყება დაკვირვების

ჩანაწერების წარმოებით. შემდეგ ეტაპზე კი უნდა მოხდეს ამ ჩანაწერების ანალიზი, რაშიც შესაძლებელია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში მოცემული განვითარების სფეროები და შესაბამისი უნარები დაგვეხმაროს. პირველ რიგში, მიზანშეწონილია კონკრეტულ ბავშვზე სხვადასხვა დროს წარმოებული დაკვირვების და შესაბამისი რეფლექსური ჩანაწერების შესწავლა იმის დასადგენად, ხომ არ არის განვითარების რომელიმე სფერო, რომელზეც საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს ინფორმაცია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ დაკვირვების მომენტში ბავშვი არც ერთხელ არ იყო დაკავებული იმ საქმიანობით, რაც აღმზრდელს კონკრეტული უნარის შესახებ მისცემდა ინფორმაციას.

მაგალითად, დაკვირვების ჩანაწერებში 5 წლის ქეთი არასოდეს ინტერესდება წიგნებით, არ ისმენს ზღაპარს, არ თამაშობს თამაშებს, სადაც ბავშვებს უწევთ ასოებთან ან დაწერილ ციფრებთან ურთიერთობა ან სხვა ისეთი საქმიანობითაა დაკავებული, რაც წიგნიერების მიმართულებით განვითარებაზე არ მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში საგანმანათლებლო პერსონალი უნდა შეეცადოს, რამდენჯერმე შესთავაზოს შესაბამისი აქტივობები ბავშვებს და ნახოს, როგორ მოიქცევა ქეთი. შემდეგ, კვლავ დააკვირდეს ბავშვს და დაკვირვების რამდენიმე ჩანაწერის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება აღმზრდელს გაუჩნდეს ეჭვი, რომ ბავშვს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება წიგნიერების მიმართულებით. შესაბამის სპეციალისტებთან და მშობლებთან კონსულტაციის საფუძველზე ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის დადგენის შემთხვევაში სწორედ დაკვირვების ჩანაწერების ანალიზის შედეგად აღმოჩენილი ძლიერი მხარეები და ინტერესები დაეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს შესაბამისი აქტივობების და საქმიანობების დადგენასა და წარმართვაში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვის ძლიერი მხარეების და ინტერესების განხილვა. ასეთი ძლიერი მხარეებისა და ინტერესების

მაგალითები შეიძლება იყოს:

- **შეუძლია დამოუკიდებლად თამაში**
- **შეუძლია 10 ფარგლებში თვლა**
- **დიდი სურვილი აქვს, რომ ახალი რამ სცადოს**
- **ითხოვს დახმარებას საჭიროების შემთხვევაში**
- **კარგად მუშაობს გუნდურად/ეწყობა გუნდის წევრებს**
- **კარგად მუშაობს ინდივიდუალურად**
- **შეუძლია წარუმატებლობას გაუმკლავდეს და კიდევ სცადოს**
- **აქვს ჰობი და გატაცებები. მაგ: უყვარს წყლის სამყარო.**
- **შეუძლია წინასწარ დაგეგმვა**
- **კარგად აგვარებს კონფლიქტურ სიტუაციას**

დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია ბავშვის შესახებ, ასევე, საკვანძოა მშობლებთან ბავშვების მიღწევებსა თუ საჭიროებებზე საუბრისას.

საუბარი მშობელთან:

ბავშვების მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს და იმ პირებს, ვისთან ერთადაც ცხოვრობს ბავშვი ძალიან დიდი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ ბავშვის თავისებურებებსა და იმ დამატებით მხარდაჭერაზე, რაც შეიძლება ბავშვს სჭირდებოდეს.

ამიტომ, მათთან მუდმივი კომუნიკაცია, საუბარი და ინფორმაციის გაცვლა ძალიან მნიშვნელოვანია. მშობლებთან გასაუბრებამდე, სასურველია, ბაღის თანამშრომლებმა მოამზადონ იმ საკითხების ნუსხა, რასაც მშობელთან პირველ შეხვედრაზე განიხილავენ.

- ? რა ენაზე საუბრობენ ბავშვები სახლში? ხომ არ იცის ბავშვმა სხვა ენებიც?
- ? როგორი ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს ბავშვს? ხომ არ აქვს ბავშვს ალერგია? ხომ არ აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი მდგომარეობა, რაც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ბაღში მიმდინარე პროცესებისათვის. ხომ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული რეკომენდაცია ექიმისგან?
- ? მოგვიყევით, წარსული გამოცდილებების შესახებ? ხომ არ ცხოვრობდით სხვაგან ადრე? სად ცხოვრობთ ახლა? დადიოდა თუ არა ბავშვი ბაღში? რა ასაკიდან?
- ? ხომ არ მომხდარა რაიმე ისეთი ბავშვის ცხოვრებაში, რამაც, თქვენი აზრით, ძალიან იმოქმედა მასზე?
- ? ხომ არ აქვს რაიმე განსაკუთრებული ჩვევა, რაც უნდა გავითვალისწინოთ?
- ? რა საქმიანობები უყვარს და აინტერესებს?
- ? როგორი ხასიათი აქვს?
- ? რა გამოსდის კარგად?
- ? რაში სჭირდება ხშირად დახმარება?

აუცილებელია, მშობლებს ავუხსნათ, რატომ ვუსვამთ ამ შეკითხვებს და რა მიზნით გამოვიყენებთ შესაბამის ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში, მათ შეიძლება თვითონ მოგვიყვნენ რაიმე ისეთი, რაც შეიძლება ჩვენ არც კი გვქონდა გათვალისწინებული. საგანმანათლებლო პერსონალმა მშობლებთან საუბრისას უნდა გაუსვას ხაზი, რომ ინფორმაცია ბავშვის შესახებ დაეხმარება დაწესებულებას მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ბავშვის განვითარებას ისეთი გამოცდილებების შეთავაზებით, რომლებიც საინტერესო იქნება ბავშვებისთვის და სწორედ იმ უნარებს განავითარებს, რასაც ამ ასაკში უნდა ფლობდეს ბავშვი. ასევე, მშობელმა უნდა იცოდეს, რომ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაეხმარება ბაღის პერსონალს ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრაში. ვინაიდან, ტერმინი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება შეიძლება მშობლისთვის უცხო იყოს, ბაღის თანამშრომელი მზად უნდა იყოს აუხსნას მშობელს, რომ ბავშვების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ბაღში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომლებსაც სპეციფიური და დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ იმისათვის, რომ შეძლონ ბაღში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებში თანამონაწილეობა, ჩართვა და განიცადონ პროგრესი. ეს არ გულისხმობს აუცილებლად იმას, რომ ბავშვს განვითარების დაყოვნება აქვს.

მნიშვნელოვანია, მშობელმა გააცნობიეროს, რომ დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება ყველა ბავშვს დასჭირდეს გარკვეულ ეტაპზე და გარკვეული პერიოდით. ამაში მშობლებს ბაღის პერსონალის მიერ მოყვანილი კონკრეტული მაგალითები და შემთხვევები უნდა დაეხმაროს. ეს შეიძლება იყოს ამბები პრაქტიკიდან. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ასეთი კონკრეტული შემთხვევების მშობლებთან გაზიარებისას არასოდეს გავთქვათ ინფორმაცია კონკრეტულ ბავშვზე, რომლის გამოცდილებაზეც ვყვებით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი არ ახსენებს ბავშვის სახელსა და გვარს, მისი მშობლების ვინაობას და სხვა ისეთ ინფორმაციას, რაც შეიძლება ბავშვის იდენტობას ამჟღავნებდეს. ასეთ დროს, შესაძლებელია, ბავშვის ნამდვილი სახელის ნაცვლად პირობითი სახელის გამოყენება (გიორგი, ნინო). ასევე, მშობელს კარგად უნდა ესმოდეს, როგორ პასუხობს ბაღი მისი ან ნებისმიერი სხვა ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებას - რა მიდგომები, ინფრასტრუქტურა და რესურსები არსებობს ამისათვის ბაღში. ეს შეიძლება იყოს აქტივობების მარტივი მოდიფიკაცია, რომ ყველა ბავშვისთვის საინტერესო იყოს და ყველამ შეძლოს თამაშებში ჩართვა. ასევე, ინფორმაცია იმ სპეციალისტებზე (მაგალითად: ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და სხვა), რომლებიც მუშაობენ ბაღში და ეხმარებიან საგანმანათლებლო პერსონალს ბავშვებისთვის სასარგებლო პროცესების დაგეგმვაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ პერსონალი უნდა მოემზადოს მშობლებთან პირველი შეხვედრისთვის და ბავშვის შესახებ საკითხების/ შეკითხვების ნუსხასთან ერთად ჩამოწეროს, რას მოუყვება მშობელს ბაღზე.

მშობლებს შეიძლება გავესაუბროთ სააღმზრდელო საგანმანათლებლო წლის დასაწყისში და ასევე, ნებისმიერ დროს, როდესაც ვიგრძნობთ, რომ დამატებითი ინფორმაციაა საჭირო. ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ შესაძლებელია განაცხადოს ბავშვის მშობელმა ბავშვის ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ჩარიცხვის ეტაპზევე, ან ბაღის პერსონალთან პირველივე შეხვედრაზე, თუ მშობლისთვის უკვე ცნობილია ბავშვის განვითარების, ქცევისა თუ ემოციური რეაგირების თავისებურებების შესახებ. შესაძლებელია, ბავშვს უკვე დასმულიც ჰქონდეს გარკვეული სამედიცინო დიაგნოზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ან დადასტურებული ჰქონდეს განვითარების ამა თუ იმ სფეროს დაყოვნება. სრულიად შესაძლებელია, ასევე, ჯერ ბავშვს სპეციალისტის მხრიდან (ექიმი, განვითარების სპეციალისტი, კლინიკური ფსიქოლოგი) არ ჰქონდეს დადასტურებული ესა თუ ის მდგომარეობა, დიაგნოზი და მშობელი მხოლოდ თავის ვარაუდს, სუბიექტურ მოსაზრებას გამოხატავდეს.ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ საუბრისას, მეტი ვარაუდით, მშობლისთვის უცხო იქნება ტერმინი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი, და ის მას სავარაუდოდ არ გამოიყენებს (რაც ბუნებრივიცაა), თუმცა, მშობელი ბაღის პერსონალისგან სწორედ ბავშვის თავისებურებების გათვალისწინებას და მის მხარდაჭერას მოითხოვს.

ასევე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია მშობლები ყოველთვის არ აცხადებდნენ ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ქონდეს:

- მშობელმა იცის ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ, თუმცა გარკვეული მიზეზით (სტერეოტიპული დამოკიდებულება, სტიგმის შიში), არ სურს აღნიშნულის გაცხადება და აქვს იმედი, რომ ბავშვის თავისებურებები შეუმჩნეველი დარჩება, ან ვარაუდობს, რომ თუ საწყის ეტაპზე აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდება, ბავშვს ნაკლები სირთულეები შეექმნება საგანმანათლებლო გარემოში;

- მშობელმა თავადაც არ იცის ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს მისი გამოცდილების, ცოდნის სიმწირით ან სპეციფიური წარმოდგენებით ბავშვის განვითარებაზე;

- მშობელმა არ იცის/არ ეჭვობს ბავშვის დამატებით საჭიროებებზე, რადგან აღნიშნული საჭიროებები, მართლაც არ ვლინდებოდა საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე და სწორედ ბაღის გარემოში გაცხადდება.

- ნებისმიერ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პერსონალი ვალდებულია დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირებისთანავე უზრუნველყოს მშობლის ფრთხილი ინფორმირება აღნიშნულის შესახებ და როგორც ბავშვის, ისე მშობლის მხარდაჭერა ამ პროცესში.

მშობლის ინფორმირება ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ

ბავშვის გარკვეული თავისებურების იდენტიფიცირების და დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ ვარაუდის გაჩენის შემდეგ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაცია აცნობოს მშობელს. მშობელთან აღნიშნულ საკითხზე შეხვედრა მეტად სენსიტიური პროცესი შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულების პერსონალი საფუძვლიანად მოემზადოს აღნიშნული გასაუბრებისთვის. მშობელთან საუბრისას, ბაღის სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკვანძო საკითხები:

1 **ბავშვის თავისებურების ობიექტური აღწერა -** პირველ რიგში მნიშვნელოვანია, დაწესებულების პერსონალს შეეძლოს თავის ვარაუდის დასაბუთება, მშობლისთვის დეტალური განმარტების მიცემა, თუ რაზე დაყრდნობით თვლის, რომ ბავშვს გარკვეული თავისებურებები აღენიშნება, რის გამოც მას შესაძლებელია დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებოდეს. საჭიროების შემთხვევაში, ბაღის პერსონალმა უნდა შეძლოს ბავშვის ქცევის, ემოციების, რეაგირების თუ კომუნიკაციის თავისებურების აღწერა, ან სხვა მტკიცებულებების წარდგენა თავისი ვარაუდის დასასაბუთებლად. ეს მტკიცებულებები მაქსიმალურად ობიექტურ მოცემულობებს უნდა ასახავდეს. ამიტომ ბაღის პერსონალი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ თავი აარიდოს ბავშვის ქცევის, ემოციებისა თუ ნათქვამის ინტერპრეტირებას და სუბიექტური შეხედულებების ჩამოყალიბებას. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ „ბავშვი ჯიუტობს“ აჯობებს ვფოკუსირდეთ ქცევაზე - „ბავშვი ხშირად უარს ამბობს ...“ მტკიცებულებების ობიექტურად ფორმულირებაში შეიძლება დაკვირვების ჩანაწერები დაგვეხმაროს, რადგან სწორად წარმოებულ ჩანაწერებში ობიექტური მოცემულობები ჩანს, რაც ბავშვის ქცევას, კომუნიკაციას ან ემოციებს აღწერს. გარდა ამისა, შესაძლებელია ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტების გადახედვაც. ამან შეიძლება კიდევ უფრო გაამყაროს ან პირიქით, გააქროს ჩვენი ეჭვი.

2 **დიალოგი მშობელთან -** მიუხედავად, იმისა, რომ ბაღის პერსონალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მყარი არგუმენტები თავისი ვარაუდის დასასაბუთებლად, რეკომენდებულია ის მოერიდოს მტკიცებულებით ფორმატში საუბარს და მტკიცებას იმისა, რომ ბავშვს დადასტურებულად აღენიშნება გარკვეული თავისებურებები, რის გამოც ის დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს. მას შეუძლია მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდი წარადგინოს ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ, მოისმინოს მშობლის მოსაზრება და მასთან ერთად დაგეგმოს შემდეგი მოქმედებები ვარაუდის გადამოწმების - დადასტურების ან უარყოფის და ბავშვის საჭიროებებზე რეაგირების დაგეგმვის მიზნით. მნიშვნელოვანია, მშობელთან შეხვედრა წარიმართოს დიალოგის პრინციპით და არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების სახით, სადაც ბაღის პერსონალი მშობელს მხოლოდ საკუთარ ვარაუდს უზიარებს. საუბრის დროს ბაღის პერსონალმა შეიძლება გაუზიაროს მშობელს საკუთარი დაკვირვება და ჰკითხოს მას, რატომ შეიძლება ამას აკეთებდეს ბავშვი, ან მასაც ხომ არ შეუმჩნევია მსგავსი ქცევა თუ თავისებურება? რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?

3 **ბავშვის ინტერესები, მიღწევები და ძლიერი მხარეები -** მნიშვნელოვანია, მშობელთან შეხვედრაზე ბაღის პერსონალმა ისაუბროს არა მხოლოდ ბავშვის გამოწვევებზე, არამედ მის ინტერესებსა და ძლიერ მხარეებზე. აუცილებელია, ასევე, მოიყვანოს მტკიცებულებები ბავშვის ძლიერი მხარეების დადასტურების მიზნით. ამაში ისევ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებში მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ. მიზანშეწონილია, შეხვედრა სწორედ ბავშვის ძლიერ მხარეებსა და მიღწევებზე საუბრით დაიწყოს. ეს მშობელს შეუქმნის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მოსაუბრის მიმართ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მშობელიც კარგად იცნობდეს ბავშვის ინტერესებს და ძლიერ მხარეებს, რადგან სწორედ ეს თავისებურებები დაეხმარება მშობლებს ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფაში.

4 **მშობლის რეაქციასთან გამკლავება -** ბაღის პერსონალს უნდა ჰქონდეს მზაობა, რომ მშობლის რეაგირება აღნიშნულ ინფორმაციაზე არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს. არასასურველი ინფორმაციის უარყოფა, ინფორმაციის მომტანის შეცდომაში დადანაშაულება, ხისტი ემოციური პასუხი, გულის აჩუყება ზოგჯერ ბუნებრივი (თავდაცვითი) რეაქციაა. ბაღის წარმომადგენელმა უნდა შეძლოს მშობლის რეაქციის მართებულად გამკლავება - ბაღის პერსონალმა მშობელთან საუბრისას უნდა შეძლოს მშობლის მიმართ თანაგრძნობისა და თანადგომის გამოხატვა, მისი ფსიქო-ემოციური

მხარდაჭერა და დარწმუნება, რომ მისი მოკავშირე და გულშემატკივარია. დაუშვებელია, ბაღის თანამშრომლის მხრიდან მშობელთან კამათი და საკუთარი პოზიციის ამ გზით დაცვა. დაუშვებელია, ასევე, მშობლის საყვედური ან დადანაშაულება ბავშვის თავისებურებების გამო. აღნიშნულ შეხვედრაზე, ბაღის წარმომადგენლის ამოცანაა, მშობელს ფრთხილად გაუზიაროს თავისი მოსაზრება, მოისმინოს მშობლის პოზიცია, უპასუხოს მის შეკითხვებს და ბავშვის მდგომარეობაში უკეთ გარკვევის მიზნით, თავადაც დასვას კითხვები. ამავდროულად, შეხვედრის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მშობელთან ერთ გუნდად გაერთიანება და ბავშვის მხარდაჭერის გეგმის დასახვა. აღნიშნულ შეხვედრაზე ბაღის წარმომადგენელმა უნდა შეძლოს მშობლის დარწმუნება, რომ მისი უმთავრესი მიზანი ბავშვის ინტერესების დაცვა, მისი მხარდაჭერა და სირთულეების დაძლევაში დახმარებაა.

5 **განმეორებითი კომუნიკაცია მშობელთან -** ბაღის წარმომადგენელს უნდა ახსოვდეს, რომ შესაძლებელია, მშობელთან ერთჯერადი შეხვედრა საკმარისი არ იყოს ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ასევე, მშობელს შესაძლებელია, დასჭირდეს დრო მიღებული ინფორმაციის გასააზრებლად და მიმღებლობის ფორმირებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მოსმენა მშობლისთვის იმდენად ტრავმული შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მას შესაძლებელია გაუჩნდეს ტენდენცია თავი აარიდოს ბაღის თანამშრომლებთან განმეორებით შეხვედრას და აღნიშნულ თემაზე საუბარს. დაწესებულების წარმომადგენელი უნდა ეცადოს მშობელთან ურთიერთობის შენარჩუნებას. ასევე, არ უნდა მოერიდოს პროაქტიულ მცდელობებს შეხვდეს მშობელს, ჰქონდეს მასთან უწყვეტი პირისპირ ან სატელეფონო კომუნიკაცია;

6 **უსაფრთხო გარემო -** მშობელთან გასაუბრება უნდა მოხდეს მისთვის უსაფრთხო, მშვიდ გარემოში და სივრცეში, სადაც არ იქნებიან სხვა პირები. სასურველია, მშობელს გაესაუბროს ის თანამშრომელი, რომელიც უკვე იცნობს მას და გარკვეული დადებითი ურთიერთობა აქვს ჩამოყალიბებული. უფრო ხშირად ასეთი თანამშრომელი აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგია, თუმცა ეს შეიძლება იყოს აღმზრდელის თანაშემწე ან ძიძა. მშობლის ინფორმირება ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ, ასევე, შესაძლებელია განახორციელოს ბაღის ფსიქოლოგმა ან სპეციალურმა პედაგოგმა, ბაღში აღნიშნული კადრის არსებობის შემთხვევაში. ასევე გარანტირებული უნდა იყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ამის შესახებ ინფორმაცია თანამშრომელმა მკაფიოდ უნდა გააჟღეროს მშობლის წინაშე.

მშობელთან შეხვედრისას განსახილველი საკითხები

- **ბავშვის ძლიერი მხარეების წარდგენა, მისი პოზიტიურად დახასიათება**
- **ბავშვის თავისებურებების წარდენა**

აღმზრდელ-პედაგოგმა მშობელს უნდა მიაწოდოს კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია შემდეგზე:

- ბავშვის რა თავისებურებებია საყურადღებო,
- როგორ ვლინდება აღნიშნული თავისებურება,
- რატომ არის აღნიშნული თავისებურებები საყურადღებო,
- რა სირთულეებს უქმნის ის ბავშვს მოცემულ ეტაპზე ყოველდღიურობაში,
- გრძელვადიანად რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ სირთულეებმა,
- რა სტრატეგიების გამოყენება შეძლო/სცადა ბაღმა
- რამდენად ეფექტური აღმოჩნდა გამოყენებული სტრატეგიები,
- რამდენად საკმარისია ბაღის მიერ გამოყენებული სტრატეგიები,
- კიდევ რა დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროება ბავშვს,
- სად და როგორ შეიძლება აღნიშნული მხარდაჭერის მიღება,
- რა როლი შეუძლია შეასრულოს ბაღმა, მშობლის და ბავშვის მხარდასაჭერად და სხვ.



ქვემოთ ცხრილში მოცემულია კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ რა ინფორმაცია უნდა მოამზადოს ბაღის სპეციალისტმა მშობელთან შეხვედრამდე

საკვანძო საკითხები	3 წლისა და 9 თვის გიორგი
რა არის ბავშვის ძლიერი მხარე ?	გიორგი ძალიან ცნობისმოყვარე ბავშვია, სიამოვნებით ერთვება ახალ საქმიანობებში. განსაკუთრებით ხშირად არის დაკავებული მეცნიერების ცენტრში. ეხმარება უფროსებს დალაგებაში საკუთარი ინიციატივით. შეუძლია მოკლე და მკაფიო მითითებების ადვილად შესრულება. სხვისი მეტყველების გაგებაში ეხმარება ნათქვამის გამეორება და ჟესტების გამოყენება.
ბავშვის რა თავისებურებებია საყურადღებო ?	დამატებით საჭიროებს ყურადღების გამახვილებას ენისა და მეტყველების უნარების განვითარებაზე.
როგორ ვლინდება აღნიშნული თავისებურება ? რატომ არის აღნიშნული თავისებურებები საყურადღებო ?	კომუნიკაციისას გიორგი იყენებს ერთეულ სიტყვებს, ნაცვლად ორ და სამ სიტყვიანი წინადადებებისა, რაც სტანდარტის მიხედვით, 2-3 წლის ბავშვებს უნდა შეეძლოთ. გიორგი, ასევე, დამახინჯებულად წარმოთქვამს სიტყვებს.
რა სირთულეებს უქმნის გამოვლენილი თავისებურება ბავშვს მოცემულ ეტაპზე ყოველდღიურობაში ?	ის ხშირად ვერ გამოხატავს სათქმელს და ვერ უხსნის უფროსებსა თუ ბავშვებს, რისი გადმოცემა სურს. ცდილობს ნაცნობი სიტყვების გამოყენებით გააგებინოს თანატოლებს სათქმელი, თუმცა, ხშირად მიზანს ვერ აღწევს, იწყებს ტირილს და ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბავშვებისთვის დაურტყამს, რაც კონფლიქტის მიზეზი გამხდარა. სხვა ბავშვები იშვიათად ეთამაშებიან გიორგის. გიორგის ქცევა შეცვლილია - ის უარს ამბობს აღმზრდელის მიერ შეთავაზებულ საქმიანობებში ჩართვაზე და მისი მითითებების შესრულებაზე. ძირითადად მარტო თამაშობს, რამაც შეიძლება იმოქმედოს სოციალური კომპეტენციების განვითარებაზეც.

საკვანძო საკითხები	3 წლისა და 9 თვის გიორგი
რა სტრატეგიების გამოყენება შესძლო/ სცადა ბაღმა აღნიშნულ თავისებურებებთან გასამკლავებლად ?	მიზანშეწონილია, მოხდეს ბავშვის მეტყველების განვითარებაზე მუშაობა, აღმზრდელ-პედაგოგი ცდილობს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას, იყენებს მისთვის ნაცნობ ყველა სტრატეგიას. მაგალითად, კომუნიკაციისას ახმოვანებს მის ყველა მოქმედებას, იმეორებს იმ სიტყვებს (საგნებს და მოქმედებებს) ხშირად, რომლებიც ბავშვისთვის მნიშვნელოვანია. ასევე, კონტექსტიდან გამომდინარე, ცდილობს მიხვდეს, რის თქმა სურს ბავშვს, შემდეგ კი თავად ახმოვანებს მის სათქმელს მოდელირების მიზნით. აღმზრდელ-პედაგოგი ჯგუფში ხშირად მიმართავს კონკრეტულ თამაშებსა და აქტივობებს ლექსიკის გამდიდრებისა და მარტივი წინადადებების ფორმირების წახალისებისთვის.
რამდენად ეფექტური აღმოჩნდა გამოყენებული სტრატეგიები ? რამდენად საკმარისია ბაღის მიერ გამოყენებული სტრატეგიები ? კიდევ რა დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროება ბავშვს ?	მართალია, გიორგი საკმაოდ აქტიურია და ერთვება სხვადასხვა თამაშებში, აღმზრდელ-პედაგოგის მიერ გამოყენებული სტრატეგიები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ გიორგის კომუნიკაციური უნარები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ასაკობრივად შესაბამის სტანდარტებს. ამიტომ, მიზანშეწონილია, გიორგიმ გაიაროს კონსულტაცია და მიიღოს მხარდაჭერა ენისა და მეტყველების თერაპევტისგან. აღნიშნული ინტერვენცია ეფექტური იქნება, ბაღში მიმდინარე პროცესებთან ერთად და განუვითარებს ბავშვს ვერბალურ უნარებს, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს მისი ქცევის თავისებურებებსა და სოციალურ განვითარებაზე.
სად და როგორ შეიძლება აღნიშნული მხარდაჭერის მიღება რა როლი შეუძლია შეასრულოს ბაღმა, მშობლის და ბავშვის მხარდასაჭერად და სხვ.	ბაღი მზადაა მშობელს გაუზიაროს ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, სადაც აღნიშნული მომსახურების მიღებაა შესაძლებელი. ასევე, გაიაროს კონსულტაცია შერჩეულ სპეციალისტთან, იმისათვის, რომ მეტად მრავალფეროვანი გზებით შეძლონ ბავშვის უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მშობლის ინფორმირება ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ უნდა მოხდეს დიალოგის ფორმატში. შესაბამისად, ბაღის თანამშრომელი თანმიმდევრულად კი არ უნდა ჩამოყვეს ცხრილში მოცემულ საკითხებს, არამედ, ინფორმაცია ნაწილ-ნაწილ მიაწოდოს მშობელს და შუალედებში დაუსვას კითხვები და დაინტერესდეს მშობლის გამოცდილებით კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში,

კერძოდ:

- რამდენად იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას მშობელი, ეთანხმება თუ არა ბაღის პერსონალის მიერ გამოთქმულ ვარაუდს;
- რამდენად ცნობილია მშობლისთვის ბავშვის აღნიშნული თავისებურების შესახებ, თავადაც ხომ არ შეუნიშნავს მსგავსი რამ; ხომ არ ავლენს ბავშვი აღნიშნულ თავისებურებებს სახლის გარემოში, ოჯახის წევრების წინაშე;
- თუ კი, როგორ აფასებს, რა დამოკიდებულება აქვს მშობელს/ოჯახს ბავშვის აღნიშნული თავისებურების მიმართ;
- აღნიშნულ თავისებურებაზე რეაგირების რა გამოცდილება აქვს მშობელს; ან რა მოსაზრება აქვს, როგორ სჯობს მასზე რეაგირება; რა არის მისი უპირატესი სურვილი;
- ხომ არ მიუმართავს სპეციალისტისთვის; თუ კი, რომელი სპეციალისტისთვის;
- რა მხარდაჭერას მიიღებდა მშობელი ბაღის მხრიდან; რას ფიქრობს მშობელი, როგორ უნდა მოხდეს ბაღის მხრიდან აღნიშნულ საჭიროებებზე რეაგირება.

ბავშვის თავისებურებებში გარკვევა დამატებითი მხარდაჭერის მიზნობრივად განსაზღვრის მიზნით

მშობლის ინფორმირების და მისგან დასტურის მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია, ბავშვის შეფასების მიზნით, მისი შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართების (რეფერალის) საკითხის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში, მშობლისთვის შუამდგომლობის გაწევა. შესაძლებელია, საჭირო გახდეს მშობლისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, თუ ვის და სად მიმართოს აღნიშნული შეფასების განხორციელებისთვის. ამიტომ ბაღი უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ მომსახურებების შესახებ, სადაც მოხდება ბავშვის შეფასება და მისი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების დადგენა. ამ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა მუნიციპალურ, სახელმწიფო თუ არასამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით. სასურველია, ინფორმაცია ასეთი მომსახურების შესახებ თავმოყრილი იყოს ერთ დოკუმენტში, რომლის მშობლისთვის გაზიარებაც ადვილად მოხდება. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს მომსახურების ადგილმდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია, მომსახურების საფასური და სხვა დეტალები. ბაღის თანამშრომელმა მშობელს უნდა მკაფიოდ განუმარტოს შეფასების მიზანშეწონილობა. მან უნდა აუხსნას მშობელს, რომ შეფასება დაეხმარება ბავშვის თავისებურებებში, მის გამომწვევ მიზეზებში უკეთ გასარკვევად და ასევე, შეფასების საფუძველზე მოხდება კომპეტენტური რეკომენდაციების/დანიშნულების მიღება. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ სწორედ აღნიშნული შეფასების საფუძველზე გაცხადდება, საჭიროებს თუ არა ბავშვი დამატებით მხარდაჭერას ბაღის კონტექსტში და როგორი შეიძლება იყოს აღნიშნული მხარდაჭერა.

მაგალითად, თუ აღმზრდელის დაკვირვებით, ბავშვს მუდმივად აქვს ტენდენცია თავი ჩამოდოს მაგიდაზე და განაცხადოს რომ იძინებს, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში იძახის რომ თავი სტკივა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს ჯგუფური სამაგიდე თამაშების დროს და საკვების მიღების წინ იჩენს თავს, როდესაც ბავშვი სხვა ბავშვების გარემოცვაში ერთი მაგიდის ირგვლივ ხვდება, დღის წესრიგში დგება ბავშვის პედიატრთან ან ნევროლოგთან შეფასებისთვის გადამისამართების საკითხი. სწორედ აღნიშნული შეფასება დაადგენს, თუ რით შეიძლება იყოს აღნიშნული სიმპტომები ან ქცევის თავისებურებები გამოწვეული, რა სახის ინტერვენციას საჭიროებს ბავშვი და რა როლი შეიძლება შეასრულოს ბაღმა ამ პროცესში.

აღმზრდელ-პედაგოგმა,ასევენათლადუნდადააფიქსიროსმზაობაიმისა,დაიცვასმიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის მიწოდება.

მაგალითად, თუ მშობელთან შედგა შეთანხმება, მოხდეს ბავშვის გადამისამართება ბავშვთა ფსიქოლოგთან, იმის გამო, რომ ბავშვი თავს არიდებს თანატოლებთან ვერბალურ კომუნიკაციას, მიუხედავად იმისა, რომ მას ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველება ასაკობრივად აქვს განვითარებული და ასევე აღენიშნება ხელების პირში ჩადების და ფრჩხილების კვნეტის ჩვევა, ასევე მნიშვნელოვანია, მშობლისთვის მზაობის ჩვენება, რომ აღმზრდელ-პედაგოგი და ბაღში ჩართული სხვა სპეციალისტები მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგს მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ბავშვის შესახებ და ასევე გაიზიარონ და გაითვალისწინონ ფსიქოლოგის მიერ გაცემული რეკომენდაციები ბავშვის ქცევის თავისებურებაზე რეაგირებასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყოველთვის არ იქნება საჭირო და აუცილებელი ბავშვის სპეციალისტთან (ფსიქოლოგი, ნევროლოგი, პედიატრი, განვითარების სპეციალისტი და სხვ.) დაუყოვნებელი გადამისამართება. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ეს ბავშვის იდენტიფიცირებულ თავისებურებაზე და ბაღში არსებულ ადამიანურ რესურსზე იქნება დამოკიდებული. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ბაღში უკვე არსებობს ფსიქოლოგი ან ენისა და მეტყველების სპეციალისტი, რომლებიც ფლობენ შეფასების ფორმალურ (სკრინინგ) ინსტრუმენტებს (მაგ. ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროების, ენისა და მეტყველების განვითარების შეფასებისთვის) და შეფასების განხორციელების კომპეტენციას, ბავშვის პირველადი შეფასება შესაძლებელია მშობლის თანხმობით ბაღში მოხდეს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, სიღრმისეული შეფასების მიზნით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ბავშვის გარე სპეციალისტთან გადამისამართებაზე.

ეს მნიშვნელოვანია !!!

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვის ფორმალური შეფასება ბაღის კონტექსტში არის შესაძლებელი, დაუშვებელია ეს მშობლის თანხმობის გარეშე განხორციელდეს. ამ შემთხვევაში, ბაღის უპირველესი ამოცანაა მშობლის ინფორმირება შეფასების მიზანშეწონილობის შესახებ, მისი საჭიროების არგუმენტირება და შეფასების განხორციელებაზე თანხმობის მიღება.

ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა

ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ პირველადი ვარაუდის გაჩენისთანავე, ბაღის პერსონალი ვალდებულია დაიწყოს ფიქრი იმაზე, თუ როგორ უზრუნველყოს ბავშვისთვის აღნიშნული დამატებითი მხარდაჭერის მიწოდება. ეს პროცესი ისევე უნდა წარიმართოს, როგორც სხვა პროცესები ბაღში. ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის იდენტიფიცირების შემდეგ უნდა მოხდეს პროცესის დაგეგმვა, შემდეგ განხორციელება და ბოლოს შეფასება-მონიტორინგი.

ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის დაგეგმვა

ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საკითხი ბაღის წარმომადგენელმა უნდა განიხილოს მშობელთან და აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაზე უნდა დაიწყოს ზრუნვა ბაღის ადმინისტრაციამ საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად.

ბაღი ვალდებულია სიღრმისეულად გააანალიზოს ბავშვის მდგომარეობა, საკუთარი რესურსები, მუნიციპალიტეტში არსებული შესაძლებლობები და მკაფიოდ განსაზღვროს:

- რა სახის დამატებითი მხარდაჭერის მიწოდებაა შესაძლებელი ბავშვისთვის ბაღში;
- რა დამატებითი და სპეციფიური მხარდაჭერა უნდა მიიღოს ბავშვმა ბაღის მიღმა;
- რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ ბავშვმა საჭირო მხარდაჭერა მიიღოს დროულად როგორც ბაღის გარემოში, ისე მის მიღმა.

დაწესებულება არ უნდა შემოიფარგლოს ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ მხოლოდ მშობლის ინფორმირებით და მიუხედავად იმისა, თუ რა რესურსს ფლობს, მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ბავშვს შესაბამისი მხარდაჭერა აღმოუჩინოს ბაღის გარემოში. არსებობს რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რაც ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ ბავშვები ვერ იღებენ ბაღებში საჭირო მხარდაჭერას. ამის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

- ბაღის რესურსები ლიმიტირებულია, ბაღს არ ჰყავს დამატებითი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბავშვისთვის საჭირო ინტერვენციის მიწოდებას; ბაღს არ აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა და მასალა იმისათვის, რომ ბავშვს საჭირო ინტერვენცია მიაწოდოს;

- ბაღის პერსონალს არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია/კომპეტენცია ბავშვის საჭიროებებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს და ბავშვს საჭირო დამატებითი მხარდაჭერა მიაწოდოს;

- ბაღმა არ იცის, რა შესაძლებლობები არსებობს თემში; ბაღის კომპეტენციას სცდება მუნიციპალიტეტში არსებულ მომსახურებებთან კომუნიკაცია.

ნაცვლად იმისა, რომ ბაღმა ამ მიზეზების გამო უარი თქვას ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, დაწესებულება უნდა ეცადოს მობილიზება გაუკეთოს ყველა არსებულ რესურსს და იმუშაოს ამ გამოწვევების გადასალახად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რამდენიმე შესაძლო მაგალითი იმისა თუ რაზე უნდა ფოკუსირდეს ბაღი და როგორ უნდა მოაგვაროს ხსენებული გამოწვევები.

არსებული მდგომარეობა	საკითხის ფორმულირება	გადაჭრის შესაძლო გზები
ბაღს არ ჰყავს დამატებითი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბავშვისთვის საჭირო ინტერვენციის მიწოდებას	რა ღონისძიებები უნდა გავატარო საჭირო სპეციალისტის (ენისა და მეტყველების თერაპევტის, ფსიქოლოგის, სპეციალური პედაგოგის და სხვ.) ბაღის კონტექსტში ჩართვისთვის	• მივმართო ბაღების გაერთიანებას, • დავასაბუთო დამატებითი სპეციალისტის ჩართვის საჭიროება • მოვითხოვო სპეციალისტის დამატება • ბაღების გაერთიანების მწირი რესურსების შემთხვევაში მივმართო მუნიციპალიტეტს ან კერძო სექტორს დამატებითი სპეციალისტის ბაღისთვის დაქირავების თხოვნით

არსებული მდგომარეობა	საკითხის ფორმულირება	გადაჭრის შესაძლო გზები
ბაღს არ აქვს სათანადო ინფრასტრუქტურად ა მასალა იმისათვის რომ ბავშვს საჭირო ინტერვენცია მიაწოდოს	რა ღონისძიებები უნდა გავატარო საჭირო რესურსების მოპოვებისთვის და ინფრასტრუქტურული მოწყობისთვის	• მივმართო ბაღების გაერთიანებას, • დავასაბუთო დამატებითი რესურსების საჭიროება • მოვითხოვო რესურსების უზრუნველყოფა • ბაღების გაერთიანების მწირი რესურსების შემთხვევაში მივმართო მუნიციპალიტეტს ან კერძო სექტორს რესურსების უზრუნველყოფის თხოვნით • გავატარო ღონისძიებები, რესურსების მობილიზების მიზნით - მაგალითად, ორგანიზება გავუკეთო საქველმოქმედო აქციას

არსებული მდგომარეობა	საკითხის ფორმულირება	გადაჭრის შესაძლო გზები
ბაღის პერსონალს არ აქვს საკმარისი კომპეტენცია ბავშვის საჭიროებებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს და ბავშვს საჭირო დამატებითი მხარდაჭერა მიაწოდოს	რა ღონისძიებები უნდა გავატარო ბაღის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის; ბაღს მიღმა არსებულ სპეციალისტებთან უწყვეტი საკონსულტაციო შესაძლებლობის შექმნისთვის	• განვსაზღვრო სპეციფიურად, რა მიმართულებით საჭიროებს ბაღის პერსონალი კვალიფიკაციის ზრდას; • მოვიძიო ინფორმაცია ბაღის აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებზე (რა შესაძლებლობები არსებობს სხვადასხვა ორგანიზაციებში) • საჭიროების შემთხვევაში მივმართო, საქმის კურსში ჩავაყენო ბაღების გაერთიანება • უზრუნველვყო ბაღის პრაქტიკოსის დასწრება აღნიშნულ ტრენინგზე • დავამყარო პარტნიორული ურთიერთობები მუნიციპალიტეტში ან მის ფარგლებს მიღმა არსებულ მომსახურების მიმწოდებლებთან (საჭიროების შემთხვევაში გავაფორმო მემორანდუმი), რომლის ფარგლებში ბაღის პერსონალი საკონსულტაციო მომსახურებას მიიღებს კონკრეტული ბავშვის საკითხებზე



არსებული მდგომარეობა	საკითხის ფორმულირება	გადაჭრის შესაძლო გზები
ბაღის კომპეტენციას სცდება მუნიციპალიტეტში არსებულ მომსახურებებთან კომუნიკაცია; ბაღმა არ იცის რა შესაძლებლობები არსებობს თემში	რა ღონისძიებები უნდა გავატარო იმისათვის რომ ამომწურავ ინფორმაციას ვფლობდე მუნიციპალიტეტში არსებულ შესაძლებლობებზე; როგორ შეიძლება დავეხმარო ბავშვს პროცედურების გავლაში იმისათვის, რომ მან აღნიშნული შესაძლებლობებით დროულად ისარგებლოს	• ამომწურავი ინფორმაცია შევაგროვო მუნიციპალიტეტში არსებულ მომსახურებებზე, რომლებიც განკუთვნილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის (მომსახურებები შესაძლებელია იყოს ცენტრალური, მუნიციპალური ან კერძო) • დავამყარო პარტნიორული ინფორმაცია აღნიშნულ მომსახურებებთან (გავიცნო, მივაღწიო შეთანხმებასბავშვების რეფერალზე, ბაღისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე, გავაფორმო მემორანდუმი) • საფუძვლიანად შევისწავლო პროცედურები, რომლის გავლაც დასჭირდება მშობელს აღნიშნული მომსახურებების მისაღებად • ვუშუამდგომლო მშობელს მომსახურების მიღების პროცესში • საჭიროების შემთხვევაში მხარი დავუჭირო მშობელს აღნიშნული მომსახურებების ჩართვის პროცესში • მოვიპოვო ბეჭდური ინფორმაცია აღნიშნულ მომსახურებებზე მშობლისთვის მიწოდების მიზნით • შევინარჩუნო აქტიური კომუნიკაცია აღნიშნულ მომსახურებასთან მას შემდეგაც, რაც ბავშვი მომსახურების მიმღები გახდება

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაღმა, პირველ რიგში, საკუთარ ვალდებულებად უნდა განსაზღვროს ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შემდეგ ეტაპზე ყველა ღონეს მიმართოს იმისათვის, რომ ბავშვმა საჭირო მხარდაჭერა დროულად და შესაბამის კონტექსტში მიიღოს - იქნება ეს ბაღის გარემო, თუ მის მიღმა არსებული მომსახურება - მაგალითად, ადრეული განვითარების პროგრამა. ამისათვის, ბაღი უნდა აცნობიერებდეს, რომ არსებობს ინტერვენცია და მხარდაჭერა, რომელიც მიზანშეწონილია, ბავშვმა სწორედ ბაღში მიიღოს, და არსებობს ინტერვენცია, რომლის განხორციელებას ბაღი ვერ შეძლებს, კომპეტენციის ფარგლებიდან გამომდინარე. აქვე ბაღი უნდა აცნობიერებდეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სწორედ მის მართებულ რეაგირებაზე - ოპერატიულ მოქმედებაზე და კომპეტენციაზე იქნება დამოკიდებული, მოხდება თუ არ ბავშვის დროული გადამისამართება საჭირო მომსახურებაში.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების იმ უწყებებთან და მომსახურებებთან თანამშრომლობა, რომლებიც ბავშვების განვითარებას ემსახურება. იმისათვის, რომ მოხდეს ბავშვისათვის მასზე მორგებული და მაქსიმალურად სასარგებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ბაღებისა და ამ მომსახურებების მოქმედებები უნდა იყოს შეთანხმებული და გამომდინარეობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან.

დამატებითი მხარდაჭერის ორგანიზება ბაღის გარემოში

ბაღის გარემო ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, გადამწყვეტია მან ეს მხარდაჭერა სწორედ ბაღის გარემოში მიიღოს და დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება არ უნდა გახდეს ბაღისთვის თავის დანებების მიზეზი. თუმცა, არსებობს იშვიათი შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამედიცინო პერსონალმა შესაძლებელია ბაღის გარემო გარკვეული რისკის შემცველად შეაფასოს.

სხვა შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, დამატებითი მხარდაჭერის იდენტიფიცირებისთანავე უნდა მოხდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ბავშვის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება. გეგმის შემუშავება უნდა დაიწყოს ბაღის ფიზიკური გარემოს და არსებული ადამიანური თუ სხვა რესურსის შეფასებით. უნდა დადგინდეს რამდენად პასუხობს ბაღის არსებული კონტექსტი ბავშვს, ან ხომ არ ქმნის გარკვეულ ბარიერებს მისი ფუნქციონირებისთვის და უნარების შემდგომი განვითარებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაწესებულების თანამშრომლები უნდა დაფიქრდნენ:

» რამდენად იძლევა დაწესებულების ფიზიკური გარემო ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენის საშუალებას? ფიზიკური გარემოს რომელი ელემენტები დაეხმარება პერსონალს ამაში? რა არის გასაუმჯობესებელი? როგორ გავაუმჯობესოთ?

» რამდენად აქვს პერსონალს შესაბამისი კვალიფიკაცია? რა მიმართულებით არის საჭირო პროფესიული განვითარება? რა შესაძლებლობები არსებობს ამ მხრივ დაწესებულებაში?

ბავშვის მხარდაჭერის გეგმა შესაძლებელია ითვალისწინებდეს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ელემენტების (აქტივობები, თამაშები და სხვა), ასევე ბაღის ფიზიკური გარემოს ცვლილებებს, თანამშრომლების კომპეტენციების ამაღლებას და დამატებითი მომსახურებების დანერგვას.

საგანმანათლებლო პროცესის ცვლილება გულისხმობს ბავშვისთვის მასზე მორგებული პროცესის შეთავაზებას, ან მისი ჩართულობის წახალისებას იმ აქტივობებში, რომლებიც იმ უნარების გამოყენებას წაახალისებს, რომელთა განვითარება/სტიმულირებაც მიზანშეწონილია. ეს ყოველივე უნდა ხდებოდეს ბავშვის ინტერესებისა და ძლიერი მხარეების საფუძველზე, დაუშვებელია ბავშვისთვის მონაწილეობის დაძალება. ბავშვის ინტერესებზე მორგებული აქტივობების შეთავაზება უზრუნველყოფს იმას, რომ ბავშვი თავისი სურვილით ერთვება აქტივობებში და მეტი ხალისით მონაწილეობს.

ბაღის ფიზიკური გარემოს ცვლილება ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად - ეს შეიძლება იყოს ჯგუფის ოთახის ავეჯის გადალაგება, ან სველ წერტილებში პირსახოცის სიმაღლის ცვლილება (დადაბლება), რომ ბავშვი უფრო ადვილად მიწვდეს. ასევე ფიზიკური გარემოს ცვლილების მაგალითია ბავშვებისთვის განკუთვნილი ჯგუფის რესურსის მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსება. თუ ბავშვს დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს და მშობელს ის ხელში აყვანილი მოჰყავს ჯგუფამდე, ბაღმა შეიძლება ამ ბავშვის ჯგუფი პირველ სართულზე, შესასვლელთან ახლო ოთახში განათავსოს.

ბაღში განმავითარებელი რესურსების შევსება - ჯგუფის ოთახი და ცენტრები მდიდარი უნდა იყოს განმავითარებელი მასალით. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საუბარია დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების ბავშვებზე. ბაღი მუდმივად უნდა ანახლებდეს ჯგუფის რესურსს და შეჰქონდეს ისეთი მასალა და ნივთები, რომლებიც სასარგებლო იქნება ყველა ბავშვისთვის, რათა ყველა მათგანმა შეძლოს აქტივობებში სრულფასოვანი ჩართვა და საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების რეალიზება. თუ ბავშვს უჭირს ფანქრის დაჭერა ბაღმა შეიძლება შეიძინოს ფანქრებზე დასამაგრებელი სპეციალური რეზინის სამაგრი. ასევე, შესაძლებელია ბაღის პერსონალმა თავად დაამზადოს დამხმარე მასალა. მაგალითად, სპეციალური ფანქრის სამაგრის შეძენის ნაცვლად თავად დაამაგროს ფანქრებზე რეზინები ისე, რომ ბავშვს მისი დაჭერა აღარ გაუჭირდეს. გარდა შესაბამისი რესურსის ჯგუფში შეტანისა, მნიშვნელოვანია, რომ აქტივობების დროს გამოყენებული მასალა ისე მივაწოდოთ ბავშვებს, რომ მათ არ გაუჭირდეთ მათი გამოყენება. მაგალითად, თუ ბავშვს ხატვისას უსრიალებს ფურცელი, აღმზრდელმა წებოვანი ლენტით (ე.წ. "სკოჩი") შეიძლება დაამაგროს ფურცელი მაგიდაზე.

აღმზრდელის და/ან სხვა პერსონალის კომპეტენციის ამაღლება - უწყვეტი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია ნებისმიერი მიმართულებით. შესაბამისად, ბაღი უნდა დაეხმაროს პერსონალს პროფესიული უნარების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში. ეს შეიძლება მოხდეს მათი ჩართვით სხვადასხვა ტრენინგში, რომლებიც შესძენს მათ საჭირო პროფესიულ უნარებს და მოამზადებს კონკრეტულ ბავშვთან/ბავშვებთან მუშაობისთვის. ამისთვის ბაღის ადმინისტრაცია უნდა იღებდეს რეგულარულ ინფორმაციას სხვადასხვა ტრენინგისა თუ პროფესიული განვითარების სხვა ღონისძიებების (სემინარი, კონფერენცია, ვებინარი, ონლაინ შეხვედრა და სხვა) შესახებ. ასევე, ბაღში ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამხმარე ლიტერატურა, რაც პერსონალს საკუთარ განვითარებაზე ზრუნვაში დაეხმარება. ბოლო წლების მანძილზე ბევრი რესურსი შეიქმნა ბაღებისთვის, ქართულ ენაზე ითარგმნა არაერთი სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს ბაღების თანამშრომლებისთვის.

ეს სახელმძღვანელოები ძირითადად ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი. ამიტომ მნიშვნელოვანია, ბაღს ქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიები, რათა თანამშრომლებმა მოახერხონ ელექტრონული რესურსების დამუშავება. გარდა ამისა, ბაღი უნდა უზრუნველყოფდეს პერსონალისთვის არასაკონტაქტო საათებში სამუშაო სივრცეს, სადაც თანამშრომლები გაეცნობიან საჭირო ლიტერატურას, მოისმენენ სხვადასხვა ტრენინგს, შეხვდებიან ერთმანეთს და გაუზიარებენ გამოცდილებას, რჩევებს, ერთად შეეცდებიან სხვადასხვა გამოწვევების გადალახვას. დაწესებულების ადმინისტრაცია შეიძლება რეგულარულად ატარებდეს სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს, კონფერენციებს როგორც საკუთარი, ასევე სხვა დაწესებულებების თანამშრომლების მონაწილეობით და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის.

ბაღში დამატებითი მომსახურების დანერგვა - თუ დღის წესრიგში დადგა ბავშვებისთვის ბაღის სივრცეში სპეციფიური მხარდაჭერის აღმოჩენის აუცილებლობა, დაწესებულება მზად უნდა იყოს, მიაწოდოს ეს მომსახურება ბავშვს. ეს შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. ერთ-ერთი ასეთი საშუალება დამატებითი პერსონალის დასაქმებაა - მაგ. ენისა და მეტყველების თერაპევტის აყვანა იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიცირდნენ ბავშვები, რომლებსაც ფოკუსირებული ინტერვენცია სჭირდებათ ამ მიმართულებით; ან ფსიქოლოგის ჩართვა, თუ მნიშვნელოვნად განისაზღვრა ბავშვისთვის/ბავშვებისთვის ქცევის მართვის გეგმების შემუშავება და სხვ. თუმცა, ბაღში ახალი პერსონალის დამატება ერთადერთი გამოსავალი არ არის. მომდევნო თავებში უფრო დეტალურადაა განხილული მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურების ორგანიზების სხვადასხვა საშუალება.

ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ყველა ბავშვმა მათი საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერა მიიღოს, ბაღის გარემო უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით უნდა იყოს ორგანიზებული. ამას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებიც ავალდებულებს დაწესებულებებს. სტანდარტში პირდაპირ და ნათლად არის საუბარი ფიზიკური გარემოს უნივერსალური პრინციპებით მოწყობის აუცილებლობაზე და იმაზე, თუ რას გულისხმობს ეს პრაქტიკაში. ქვემოთ მოცემულია შესაბამისი ამონარიდი ხარისხის სტანდარტის ფიზიკური გარემოს მიმართულებიდან.

მიმართულება - ფიზიკური გარემო

სტანდარტი - დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით.

სტანდარტის ინდიკატორები:

- გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის;
- დაწესებულების შენობა და ეზო ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე თითოეული ბავშვისთვის და ხელს უწყობს მათ ჩართულობას პროცესში;
- გარემო იმგვარადაა მოწყობილი, რომ არსებული ინვენტარი და ნივთები მყუდროს ხდის მას (მაგალითად: ფარდები, ხალიჩა, ბალიშები, რბილი ავეჯი და სხვა);
- სივრცეში გადაადგილება თითოეული ბავშვისთვის ზედმეტი ძალისხმევის გარეშეა შესაძლებელი;
- საგანმანათლებლო რესურსი თითოეული ბავშვისთვის ადვილად ხელმისაწვდომია და შესაძლებელია დამოუკიდებლად აღება/სარგებლობა;
- გარემო მარტივად აღსაქმელია - მოცემულია ვიზუალური მინიშნებები;
- ფიზიკური გარემო შეცდომებისადმი ტოლერანტულია (ადაპტირებულია ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად) და იმგვარადაა მოწყობილი, რომ უნებლიე ქმედებებისას ნაკლებია უარყოფითი შედეგი;
- თითოეული ბავშვის ნამუშევარი და სხვა ვიზუალური მასალა, ძირითადად, ბავშვის სიმაღლეზეა გაკრული;
- საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის სივრცე იძლევა ავეჯის გადაადგილების საშუალებას;
- დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები (შენობა, ეზო) ისეა დაგეგმარებული, რომ შესაძლებელია ბავშვის ყველა ძირითადი ფიზიკური საჭიროების დაკმაყოფილება;

განსხვავებულობებისადმი ტოლერანტული გარემო

გარდა იმისა, რომ ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი უნივერსალური პრინციპების მიხედვით და ბაღის პერსონალს უნდა ქონდეს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია იმისა, თუ როგორ მიიღონ ბავშვი, რომელსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბაღი იყოს სტერეოტიპებისგან თავისუფალი და განსხვავებული ადამიანების მიმღებლობით გამოირჩეოდეს. ის, თუ როგორ იგრძნობს დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი ბაღში თავს, დიდწილად საგანმანათლებლო პერსონალზეა დამოკიდებული. სპეციალური საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ხშირად პოზიტიურ დისკრიმინაციას განიცდიან, ეს ბავშვს კიდევ უფრო გარიყულად აგრძნობინებს თავს, შესაბამისად, ის არ გრძნობს თავს კარგად და ამის გამო ხელი ეშლება მის განვითარებას. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ თანადგომა ხშირად ჰიპერმზრუნველობაში გადაიზრდება ხოლმე, რაც ასევე არ არის მისაღები. მნიშვნელოვანია, ბაღში იყოს განსხვავებულობისადმი ტოლერანტული და ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს იღებენ ისეთებს, როგორებიც არიან და ასეთი გარემოს შექმნა არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირებასთან. განსხვავებულობისადმი ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბება ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებთან (ფიზიკური გარემოს ცვლილება, აქტივობების მორგება ბავშვების საჭიროებებსა და ინტერესებზე, და სხვა) ერთად დამოკიდებულებებისა და ქცევის ცვლილებებსაც მოითხოვს.

ეს კი ყველა თანამშრომელმა საკუთარი ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ცოდნის შეფასებით უნდა დაიწყოს. ყველა თანამშრომელი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რა ემოცია და დამოკიდებულება აქვთ განსხვავებული - იქნება ეს ბავშვის სქესი, ეთნიკურობა, ოჯახის რელიგიური მრწამსი თუ სხვა მახასიათებლების მქონე ბავშვების მიმართ. ხომ არ არის მათი დამოკიდებულებები გავრცელებული სტერეოტიპებით გამყარებული? ასეთი სტერეოტიპია, მაგალითად, მოსაზრება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არაფრის სწავლა არ შეუძლიათ. ასევე, ხშირად უფროსებს ჰგონიათ, რომ ბავშვის „მიუღებელი" ქცევა სწორედ შეზღუდული შესაძლებლობით არის გამოწვეული, მაშინ, როდესაც ამის მიზეზი ბავშვის საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა შეიძლება იყოს.

განსხვავებულობისადმი ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბება ბავშვებთან შესაბამის მუშაობასაც გულისხმობს და ეს არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვია. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ადამიანი უნიკალური და შესაბამისად, განსხვავებული მახასიათებლების მატარებელია, განსხვავებულობის მიმღებლობა მნიშვნელოვანი უნარია, რაც ადამიანს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე დაეხმარება. ბავშვებს შორის განსხვავებულობის მიმღებლობის ჩამოყალიბების კარგი საშუალება მათში ემპათიის განვითარებაა. ემპათიის მნიშვნელობა სახელმწიფო სტანდარტებშიც ხაზგასმულია და ხარისხის სტანდარტი გვეუბნება, რომ საგანმანათლებლო პერსონალის ერთ-ერთი მოვალეობა სწორედ ემპათიის განცდისა და სხვა ადამიანის მდგომარეობაში შესვლის, მოვლენების სხვების პერსპექტივიდან დანახვის უნარის განვითარებაა. ეს ყოველივე კურიკულუმისა და ყოველდღიური აქტივობების ნაწილი უნდა იყოს. ამის მრავალი საშუალება არსებობს:

ბავშვებთან საუბარი იმაზე, თუ როგორ გასხვავდებიან ადამიანები - ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ადამიანი უნიკალური და განსხვავებულია და ჩვენ ყველას გვაქვს ძლიერი მხარეები. აღმზრდელები უნდა ეხმარებოდნენ ბავშვებს იმის გაცნობიერებაში, რომ მიუხედავად ამ განსხვავებულობებისა ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ყველას გვინდა ვიყოთ კარგად, გვყავდეს მეგობრები, გვქონდეს თამაშის საშუალება. საგანმანათლებლო პერსონალი ხელიდან არ უნდა უშვებდეს ბავშვებთან ადამიანების განსხვავებულობაზე საუბრის შესაძლებლობას. როდესაც ჯგუფში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ისეთი ბავშვია, რომელიც შეიძლება ვიზუალურად განსხვავდებოდეს ბავშვების უმრავლესობისგან, ბავშვებს შეიძლება გაუჩნდეთ ბუნებრივი ინტერესი და შეკითხვები. საგანმანათლებლო პერსონალი მზად უნდა იყოს ასეთ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. მნიშვნელოვანია, ინფორმაცია, რომელსაც პერსონალი ბავშვებს მიაწოდებს იყოს მათთვის გასაგები და ფაქტებზე დაფუძნებული. ეს ინფორმაცია არ უნდა ასახავდეს დამოკიდებულებას ან სტერეოტიპებს სხვადასხვა განსხვავებულობის მიმართ და, რაც მთავარია, უარყოფით აქცენტებს - მაგალითად, ქართული ენის არმცოდნე ბავშვზე

ვთქვათ, რომ მას არ ესმის ქართული ან არ შეუძლია ლაპარაკი. თუ ჯგუფში გვყავს ბავშვი, რომელსაც რაიმე სამედიცინო დიაგნოზის გამო უჭირს გადაადგილება და სიარულის ნაცვლად დახოხავს ან ეტლით სარგებლობს, შეგვიძლია დაინტერესებულ ბავშვს მსგავსი შინაარსის წინადადებით ავუხსნათ: „ზოგიერთი ადამიანის სხეული განსხვავებულადაა მოწყობილი და გადაადგილებაში ხელები/ეტლი ეხმარება, ზუსტად ისევე, როგორც შენ ფეხები გეხმარება“.

ჯგუფის რესურსი, რომელიც ასახავს განსხვავებულობებს - ბავშვებისათვის განსხვავებულობის სწავლების საუკეთესო საშუალება ისეთი მასალაა, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანების განსხვავებულობას მარტივი და ბავშვებისათვის საინტერესო გზით. ეს შეიძლება იყოს წიგნები, სურათები, პოსტერები, თამაშები, სათამაშოები და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლითაც მდიდარი უნდა იყოს ჯგუფის ფიზიკური გარემო. თუ ასეთი მასალა არ არის ხელმისაწვდომი, აღმზრდელს, ერთი მხრივ, შეუძლია თავად დაამზადოს რესურსი (მაგალითად, სხვადასხვა გარეგნობის მქონე ადამიანების ბარათები ძველი ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოებით) ან ნაცნობი ზღაპრების კითხვისას სხვადასხვა პერსონაჟის განსხვავებულ შესაძლებლობებს და მახასიათებლებს გაუსვას ხაზი - „ცეროდენა ზომით პატარაა, მაგრამ ძალიან მოხერხებულია“.

მაგალითის მიცემა - ბავშვები ძალიან კარგად სწავლობენ მიმბაძველობით, ამიტომ მნიშვნელოვანია, უფროსებმა მისცენ მაგალითი იმისა, თუ როგორია ემპათიური ქცევა, რას ნიშნავს თანასწორი მოპყრობა და სხვა.

განსხვავებულობებისადმი ტოლერანტული გარემოს შექმნა ბავშვების მშობლებთან მუშაობასაც გულისხმობს. ხშირად ბავშვების მშობლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი შვილების ჯგუფში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების ყოფნის გამო. ისინი ამბობენ, რომ მათი შვილები ითვისებენ ცუდ ქცევას ამ ბავშვებისგან, ან საგანმანათლებლო პერსონალი იმდენ დროს უთმობს ამ ბავშვებს, რომ სხვა ბავშვები უყურადღებოდ რჩებიან. ასეთი შემთხვევების თავიდან ასარიდებლად:

ბაღმა ყველა მშობელს ბავშვების ბაღში მოყვანისთანავე უნდა გააცნოს ბაღის პოლიტიკა და შეატყობინოს, რომ ბაღი არის ინკლუზიური და ამ გარემოში მივესალმებით ყველანაირ ბავშვს, რაც გულისხმობს იმას, რომ შეიძლება ნებისმიერ ჯგუფში იყოს ბავშვი, რომელსაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება. აქვე მშობლებს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს ეს მხარდაჭერა და როგორ იქნება ის ორგანიზებული ბაღის გარემოში. მშობლებს უნდა ესმოდეთ, რომ ინკლუზიური გარემო ერთნაირად სასარგებლოა ყველა ბავშვისათვის და უნდა იცოდნენ, თუ რა დადებითი შედეგი აქვს ბავშვისთვის ბევრ განსხვავებული თავისებურების მქონე ადამიანებთან ურთიერთობას.

საგანმანათლებლო პერსონალმა აქტივობების დაგეგმვისას თითოეული ბავშვის საჭიროება და ინტერესი უნდა გაითვალისწინოს და შესაბამისი დრო დაუთმოს ყველას. თუ კონკრეტული მიზეზის გამო, კონკრეტულ მომენტში, მას მეტი დროის გატარება უწევს დამატებითი საჭიროების მქონე ბავშვთან, მან ნათლად უნდა აუხსნას მშობლებს, თუ როგორ ხდება ამ დროს სხვა ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება და მათი განვითარება.

ბაღმა უნდა უზრუნველყოს რესურსების მობილიზება იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროცესი არ ფერხდებოდეს რომელიმე ბავშვის თავისებურების გამო. ამის ერთ-ერთი მაგალითია ინდივიდუალური ასისტენტის უზრუნველყოფა დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების ბავშვისთვის.

დამატებითი მხარდაჭერის ჯგუფის გარემოში მიღების მნიშვნელობა

ბავშვზე ორიენტირებული მხარდაჭერის გეგმის შემუშავებისას, მნიშვნელოვანია, ბაღის პერსონალი ორიენტირებული იყოს იმაზე, რომ ბავშვმა საჭირო მხარდაჭერა უწყვეტად ბუნებრივ კონტექსტში და ჯგუფში მიიღოს და მხოლოდ დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს ბავშვის ჯგუფიდან გამოყვანა და მისთვის ფოკუსირებული ინტერვენციის ერთი-ერთზე შეთავაზება.

ბუნებრივ კონტექსტში/ჯგუფში შეთავაზებული მხარდაჭერის მაგალითია, ბავშვის ნატიფი მოტორული უნარების განვითარებისთვის პლასტელინით ფორმების გამოძერწვის წახალისება სხვა ბავშვებთან ერთად მცირე ჯგუფში, ენისა და მეტყველების უნარების გამოყენების ხელშეწყობა ბავშვებთან წყვილში როლური თამაშისას. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია, აღმზრდელი ჯგუფში ქმნიდეს იმგვარ გარემოს, რაც შესაძლებლობას იძლევა სამიზნე უნარების გამოყენება/განვითარებისთვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, აღმზრდელი ფრთხილად და ზუსტად არჩევდეს აქტივობებს/თამაშებს, ინსტრუქციებს, რესურსებს და ბავშვებთან რჩებოდეს მათი მხარდაჭერისთვის, უნარების გამოყენების სტიმულირებისთვის, მოდელირებისთვის, პოზიტიური უკუკავშირის მიწოდებისთვის და სხვ. აღნიშნულ შემთხვევაში ბავშვი ჩართულია ინდივიდუალურად მისთვის საჭიროდ განსაზღვრულ აქტივობებში, თამაშებში, რომლებიც სამიზნე უნარების განვითარებას ემსახურება, და ამავდროულად არ წყდება ბუნებრივ კონტექსტს - ჯგუფს.

დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს ბავშვთან მიზანმიმართული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ჯგუფს გარეთ, აღმზრდელთან ან შესაბამის სპეციალისტთან ერთი-ერთზე. ამ დროს, ბავშვი მცირე დროით ერთი-ერთზე ან მცირე ჯგუფში/წყვილში მუშაობს/თამაშობს სპეციალისტთან.

ბავშვის ჯგუფიდან გაყვანა შესაძლებელია ან დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მშვიდი გარემო ხელს უწყობს ბავშვს ყურადღების კონცენტრაციაში; ის ხდება უფრო ორიენტირებული სამიზნე აქტივობაზე და უფრო ეფექტურად და ინტენსიურად ხდება სამიზნე უნარების განვითარების სტიმულირება.

ბავშვზე ორიენტირებული ინტერვენციის შესაძლო ფორმები ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.
აღნიშნული პირამიდის დიაგრამა გამოყენებულია იმის საილუსტრაციოდ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ბაღი მართებულად მიმართავს მხარდაჭერის პირველ ფორმას:

ინტერვენცია ხორციელდება ჯგუფში აღმზრდელის მიერ (1);

იმ შემთხვევაში, თუ აღმზრდელის ინტერვენცია არასაკმარისად ფასდება, მას ჯგუფში მხარდამჭერად უერთდება სპეციალისტი (2), რომელიც ფრთხილად, ისე რომ არ დაირღვეს ჯგუფის ბუნებრივი დინამიკა, სთავაზობს ბავშვს/ბავშვებს მათთვის მიზანშეწონილ აქტივობებს;

ხოლო ცალკეული ბავშვებისთვის დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება ერთი-ერთზე ინტერვენცია ჯგუფის გარეთ სპეციალისტის მხრიდან (3).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბავშვები შესაძლებელია იღებდნენ ინტერვენციის პირველ და მეორე ფორმას; ან პირველ, მეორე და მესამე ფორმას ერთდროულად.

დაუშვებელია, ბავშვი ბაღში ირიცხებოდეს და მას საჭირო ინტერვენცია მხოლოდ მეორე და მესამე ფორმით მიეწოდებოდეს. ანუ, მასთან მხოლოდ სპეციალისტი მუშაობდეს ჯგუფში ან ინდივიდუალურად.

საჭიროა, მიზანმიმართული და ფოკუსირებული ინტერვენციის ბავშვისთვის ფრთხილად და დაბალანსებულად მიწოდება და მაქსიმალური მხარდაჭერა იმისა, რომ სამიზნე უნარები და სფეროები ჯგუფში, ბუნებრივ კონტექსტში ვითარდებოდეს, ვარჯიშდებოდეს და გამოიყენებოდეს.

მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება ბაღის გარემოში

ბაღში ბავშვების უპირატესი მხარდამჭერი და მათ გართობა-განვითარებაზე, ზრუნვასა და განათლებაზე პასუხიმგებელი პირი აღმზრდელ-პედაგოგია. ამ სპეციალისტს გავლილი მომზადება-გადამზადების პროგრამების საფუძველზე აქვს კომპეტენცია იმგვარად დაგეგმოს ბავშვების დღის რუტინა, რომ ბავშვების სხვადასხვა აქტივობაში ჩართვით უზრუნველყოს მათი უნარების ჰარმონიული განვითარება.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბავშვების დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებიდან გამომდინარე, ხშირად, ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა კომპეტენცია არასაკმარისად განისაზღვრება ბავშვისთვის საჭირო მხარდაჭერის მისაწოდებლად ან აღმზრდელისა და ბავშვების თანაფარდობა არ იძლევა დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვისთვის სათანადო მხარდაჭერის მიწოდების შესაძლებლობას. ანუ, ჯგუფში ჩართული ბავშვების რაოდენობის და მათი თავისებურების გათვალისწინებით, ერთი აღმზრდელ-პედაგოგი, მხოლოდ თანაშემწის მხარდაჭერით, არასაკმარისია იმისათვის, რომ ყველა ბავშვმა თანაბრად ხარისხიანი მხარდაჭერა მიიღოს. აღნიშნულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში ჩართული ერთი ან რამდენიმე ბავშვი სხვა ბავშვებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ მხარდაჭერას და ყურადღებას საჭიროებს, ხოლო თუკი აღნიშნული მხარდაჭერის მიწოდებაზე პასუხისმგებლად მხოლოდ ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი ან ძიძა განისაზღვრება, ეს სხვა ბავშვებს მოაკლებს საჭირო მხარდაჭერასა და ყურადღებას.

აღნიშნულ შემთხვევებში საჭირო ხდება ბაღში ჩართულ პრაქტიკოსთა წრის გაფართოება, ანუ დამატებითი სპეციალისტების აყვანა (თუ აღნიშნული სპეციალისტები ბაღს ჯერ არ ჰყავს) ან თუ აღნიშნული სპეციალისტები ბაღში არსებობენ, მათი მიმართვა მოცემულ ჯგუფში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვის და/ან აღმზრდელ-პედაგოგის მხარდასაჭერად.

აღნიშნული დამატებითი სპეციალისტები, საკუთარი პროფესიული კომპეტენციის და სამუშაო ვალდებულების საფუძველზე შეავსებენ საჭიროებას და აღმზრდელ- პედაგოგთან ერთან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ბავშვების განვითრების მხარდაჭერაში.
დამატებითი სპეციალისტის ჩართვით იქმნება ბაღის მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც თავისი მრავალფეროვანი კომპეტენციით უზრუნველყოფს ბავშვების საჭიროებებზე ეფექტურ რეაგირებას.

ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს შორის შესაძლებელია იყვნენ შემდეგი სპეციალისტები:

- ენისა და მეტყველების სპეციალისტი
- ოკუპაციური თერაპევტი
- ფსიქოლოგი
- ადრეული განვითარების სპეციალისტი
- ჟესტური ენის თარჯიმანი
- მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი
- ბავშვის ინდივიდუალური ასისტენტი
- სპეციალური პედაგოგი

თითოეული სპეციალისტი თავისი უნიკალური კომპეტენციის საფუძველზე უზრუნველყოფს ბავშვისთვის საჭირო დამატებითი მხარდაჭერის მიწოდებას და აღმზრდელ-პედაგოგის საქმიანობის შევსებას.

ის, თუ რამდენად გაფართოებული იქნება ბაღის მულტიდისციპლინური გუნდი, ანუ რამდენი ზემოთ მოხსენიებული სპეციალისტი იქნება მასში ჩართული, უპირველესად დამოკიდებულია ბავშვების თავისებურებებიდან გამომდინარე ბაღში არსებულ საჭიროებებზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბაღში არ ირიცხებიან სმენის ან მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები, ბუნებრივია, არ დგება ჟესტური ენის თარჯიმნისა და მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტის ჩართვის საჭიროება მოცემულ მომენტში და აღნიშნულ სპეციალისტებს ამ ბაღში არ შევხვდებით, სანამ შესაბამისი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვები არ დარეგისტრირდებიან. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ ბაღში ხდებოდეს მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობის ცვლილება, მისი გაფართოება ან შემჭიდროვება ბავშვების საჭიროების გათვალისწინებით.

შესაბამისად, მულტიდისციპლინური გუნდის ზოგიერთი წევრი ბაღმა უნდა დაიქირაოს იმ ვადით, რა ვადითაც კონკრეტული საჭიროების მქონე ბავშვი იქნება ბაღში ჩართული: ჟესტური ენის თარჯიმანი ბაღში ჩაერთვება ფიქსირებული ვადით - მაგალითად, 3 წლით, თუ ის სამი წლის სმენის მნიშვნელოვანი სირთულის მქონე/ყრუ ბავშვისთვის გახდა საჭირო; თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბაღში სხვა მსგავსი საჭიროების მქონე ბავშვი არ ჩაირიცხა, სპეციალისტი გადამისამართდება იმ ბაღში, სადაც მისი მხარდაჭერის საჭიროება გაჩნდება. იმ შემთხვევაში, თუ ბაღში სხვა სმენის მნიშვნელოვანი სირთულის მქონე/ყრუ ბავშვი ჩაირიცხა, მოცემულ სპეციალისტს ხელშეკრულება გაუხანგრძლივდება. აღნიშნული მობილობით შეიძლება გამოირჩეოდეს ბავშვის ინდივიდუალური ასისტენტი, რომელიც მოცემულ ბაღში საქმიანობას დაასრულებს, თუ ბავშვი, რომელსაც ის მხარდაჭერას უწევდა, დატოვებს ბაღს და სხვა საგანმანათლებლო გარემოში გადაინაცვლებს. ბავშვის ინდივიდუალურმა ასისტენტმა შესაძლებელია საქმიანობა გააგრძელოს სხვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში სხვა ბავშვის მხარდასაჭერად, თუ აღნიშნული მომსახურების საჭიროება მოცემულ ბაღში არ გამოვლინდა ან გაჰყვება იმ ბავშვს, რომელსაც ასისტირებას უწევდა ზოგადი განათლების საფეხურზეც, თუ აღნიშნული ტიპის მხარდაჭერის საჭიროება ამ ბავშვს სკოლის გარემოშიც დაუდასტურდა.

მაშასადამე, ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის ზოგიერთი წევრი უფრო მობილურია გუნდის სხვა წევრებთან შედარებით, მისი დაქირავება უპირატესად ხელშეკრულებით და კონკრეტული ვადით ხდება, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას.

ხშირ შემთხვევაში, ბაღის მუდმივ კადრს წარმოადგენენ ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სპეციალური პედაგოგი. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე მათი ჩართვა ბაღში ყოველთვის განპირობებულია კონკრეტული საჭიროების მქონე ბავშვების ბაღში ჩართულობით, აღნიშნული კადრი, როგორც წესი, აგრძელებს ბაღში საქმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ბავშვები განათლების შემდეგ საფეხურზე გადაინაცვლებენ ხოლმე. ბუნებრივია, ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბაღში ბავშვების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში უწყვეტად არსებობს აღნიშნული კადრის საჭიროება - აღმზრდელ-პედაგოგებს, მშობლებს სჭირდებათ კონსულტაცია და მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისას, განვითარების მხარდაჭერისას და სხვ.

ბაღში მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობას ასევე განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ბიუჯეტის ოდენობა დამატებითი მხარდამჭერი კადრისთვის და სპეციალისტების არსებობა/მისაწვდომობა (განსაკუთრებით რეგიონებში).

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ბაღში მულტიდისციპლინური გუნდების ფორმირება შესაძლებელია რამდენიმე მოდელით ხდებოდეს. განვიხილოთ აღნიშნული მოდელები:



მულტიდისციპლინური გუნდი ფორმირებულია და ფუნქციონირებს ერთი ბაღის ფარგლებში

ამ შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდი ჩამოყალიბებულია ერთი ბაღის ფარგლებში, მისი წევრები პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ ამ კონკრეტული ბაღის პერსონალის და ბავშვების მხარდასაჭერად.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრები საქმიანობენ ერთზე მეტ ბაღში

მოცემულ შემთხვევაში, გუნდის ზოგიერთი წევრი, ან მთლიანი გუნდი პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს ერთზე მეტ კონკრეტულ ბაღში. აღნიშნული მოდელის შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის წევრები საქმიანობენ უპირატესად ორ ბაღში, თითოეულში არასრულ განაკვეთზე.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრები ემსახურებიან ბაღებს, საჭიროებიდან გამომდინარე

აღნიშნული მოდელის თანახმად, მულტიდისციპლინური გუნდი და მისი წევრები არ არიან ასოცირებული/დაკავშირებული კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ისინი ფორმირებული არიან ბაგა-ბაღების მართვის მუნიციპალური სტრუქტურების ფარგლებში და ემსახურებიან აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალ ბაღებს, საჭიროებიდან გამომდინარე.

აღნიშნული მოდელი შესაძლებლობას იძლევა, მწირი ფინანსური და ადამიანური რესურსების პირობებში, ბაღებმა მიიღონ საჭირო მხარდაჭერა. ამავდროულად, აღნიშნული მოდელი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, ბაღს ჰყავდეს თავის მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც ფორმირებულია რამდენიმე წევრისგან, რომლებიც ფიქსირებულად არიან ასოცირებული ამ კონკრეტულ ბაღთან (სპეციალური პედაგოგი და/ან ენისა და მეტყველების თერაპევტი (მოდელი 1 და 2)) და ასევე ჰყავდეს გუნდის ერთი წევრი, მაგალითად, ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც უპირატესად ასოცირებულია ბაღების მართვის მუნიციპალურ სტრუქტურებთან. აღნიშნული ოკუპაციური თერაპევტი იქნება ყველა იმ ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, სადაც კი ამის საჭიროება იარსებებს/გაჩნდება.

მისაწვდომ პროფესიონალთა მწირი რესურსების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, როგორც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები, ისე ამ დაწესებულებების მართვის სამსახურები ქმნიდნენ სპეციალისტთა მონაცემთა ბაზას, სადაც აღირიცხება ინფორმაცია:

- სპეციალისტებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში საქმიანობენ სკოლამდელი განათლების სისტემაში;
- სპეციალისტებზე, რომლებიც საქმიანობდნენ სკოლამდელი განათლების სისტემაში, თუმცა ბავშვის განათლების სხვა საფეხურზე გადანაცვლების შემდეგ შეაჩერეს საქმიანობა ან გადაინაცვლეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- სპეციალისტებზე, რომლებსაც აქვთ სურვილი, საჭიროების შემთხვევაში, დასაქმდნენ სკოლამდელი განათლების სისტემაში მულტიდისციპლინური გუნდის წევრად.

მსგავს მონაცემთა წარმოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაღების გაერთიანების მხრიდან, რადგან ბაღში კონკრეტული სპეციალისტის საჭიროების დაფიქსირებას, უნდა მოჰყვეს ოპერატიული რეაგირება და სპეციალისტის მოკლე დროში იდენტიფიცირება.

მულტიდისციპლინური გუნდის წევრთა სამუშაო აღწერილობები

სპეციალური პედაგოგის სამუშაო აღწერილობა

- ბავშვის წინა-აკადემიური უნარების განვითარების სირთულეების პირველადი იდენტიფიცირება;
- წინა-აკადემიური უნარების შეფასება და აღწერა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით;
- წინა-აკადემიური უნარების განვითრებისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და შეთანხმება მშობელთან და მულტიდისციპლინურ გუნდთან, მათ შორის, რეფერირება შესაბამის სპეციალისტთან;
- წინა-აკადემიური უნარების განმავითარებელი აქტივობების განსაზღვრა, ორგანიზება (მასალის შემუშავება, ინსტრუქციის ჩამოყალიბება)
- ბავშვთან ერთი-ერთზე ან ჯგუფში (მათ შორის მცირე ჯგუფში) მუშაობა წინა-აკადემიური უნარების გაუმჯობესებისთვის;
- აღმზრდელ-პედაგოგის და მშობლის კონსულტირება ბავშვის წინა-აკადემიური უნარების გაძლიერების საკითხებზე, შესაბამისი სტრატეგიების/აქტივობების გამოყენებაზე;
- აღმზრდელ-პედაგოგის ჯგუფში მხარდაჭერა წინა-აკადემიური უნარების განმავითარებელი აქტივობების შეთავაზების/ორგანიზების/გამოყენების პროცესში;
- მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბავშვის ბაღში და ბაღიდან ტრანზიციის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა ბავშვის განვითარების მხარდამჭერ უწყებებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტები).

ენისა და მეტყველების თერაპევტის სამუშაო აღწერილობა

- ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეების პირველადი იდენტიფიცირება;
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარის შეფასება და აღწერა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარების განვითრებისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და შეთანხმება მშობელთან და მულტიდისციპლინურ გუნდთან, მათ შორის რეფერირება შესაბამის სპეციალისტთან;
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების განმავითარებელი აქტივობების განსაზღვრა, ორგანიზება (მასალის შემუშავება, ინსტრუქციის ჩამოყალიბება);
- ბავშვთან ერთი-ერთზე ან ჯგუფში (მათ შორის მცირე ჯგუფში) მუშაობა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარის გაუმჯობესებისთვის;
- აღმზრდელ-პედაგოგის და მშობლის კონსულტირება ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარების გაძლიერების საკითხებზე, შესაბამისი სტრატეგიების/ აქტივობების გამოყენებაზე;
- აღმზრდელ-პედაგოგის ჯგუფში მხარდაჭერა კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების განმავითარებელი აქტივობების შეთავაზების/ ორგანიზების / გამოყენების პროცესში;
- მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბავშვის ბაღში და ბაღიდან ტრანზიციის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა ბავშვის განვითარების მხარდამჭერ უწყებებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტები).



ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობა

- ბავშვის განვითარების სფეროებში (კოგნიტური უნარები, ქცევით-ემოციური რეგულაცია, პრობლემის გადაჭრა, ნებელობა და სხვ.) სირთულეების პირველადი იდენტიფიცირება;
- ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (კოგნიტური უნარები, ქცევით-ემოციური რეგულაცია, პრობლემის გადაჭრა, ნებელობა და სხვ.) შეფასება შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით და აღწერა;
- ბავშვის ფუნქციონირების სფეროების განვითრებისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და შეთანხმება მულტიდისციპლინურ გუნდთან;
- ბავშვის ფუნქციონირების სფეროების განვითარება-გაუმჯობესებისთვის აქტივობების განსაზღვრა, ორგანიზება (მასალის შემუშავება, ინსტრუქციის ჩამოყალიბება);
- ბავშვთან ერთი-ერთზე ან ჯგუფში (მათ შორის მცირე ჯგუფში) მუშაობა ფუნქციონირების სფეროების (კოგნიტური უნარები, ქცევით-ემოციური რეგულაცია, პრობლემის გადაჭრა, ნებელობა და სხვ.) გაუმჯობესებისთვის;
- აღმზრდელ-პედაგოგის და მშობლის კონსულტირება ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (კოგნიტური უნარები, ქცევით-ემოციური რეგულაცია, პრობლემის გადაჭრა, ნებელობა და სხვ.) გაძლიერების საკითებზე, შესაბამისი სტრატეგიების/ აქტივობების გამოყენებაზე;
- აღმზრდელ-პედაგოგის ჯგუფში მხარდაჭერა ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (კოგნიტური უნარები, ქცევით-ემოციური რეგულაცია, პრობლემის გადაჭრა, ნებელობა და აქტივობების შეთავაზების/ორგანიზების/გამოყენების პროცესში;
- მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბავშვის ბაღში და ბაღიდან ტრანზიციის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა ბავშვის განვითარების მხარდამჭერ უწყებებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტები).

ოკუპაციური თერაპევტის სამუშაო აღწერილობა

- ბავშვის ფუნქციონირების სფეროებში (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება; ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) სირთულეების პირველადი იდენტიფიცირება;

- ბავშის ფუნქციონირების სფეროების (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება, ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) შეფასება შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით და აღწერა;

- ბავშვის საჭიროებებთან მიმართებაში გარემოს მისაწვდომობის შეფასება და მოწყობა გარემოსთან ინტერაქციის გაიოლების მიზნით; რეკომენდაციების უზრუნველყოფა მშობლისთვის, აღმზრდელ-პედაგოგისთვის, სხვა სპეციალისტებისთვის გარემოს მოწყობის და მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

- ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება, ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) განვითრებისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და შეთანხმება მულტიდისციპლინურ გუნდთან;

- ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება, ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) განვითარება-გაუმჯობესებისთვის აქტივობების განსაზღვრა, ორგანიზება (მასალის შემუშავება, ინსტრუქციის ჩამოყალიბება);

- ბავშვთან ერთი-ერთზე ან ჯგუფში (მათ შორის მცირე ჯგუფში) მუშაობა ფუნქციონირების სფეროების (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება, ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) გაუმჯობესებისთვის;

- აღმზრდელ-პედაგოგის და მშობლის კონსულტირება ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება, ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) გაძლიერების საკითებზე, შესაბამისი სტრატეგიების/აქტივობების გამოყენებაზე;

- აღმზრდელ-პედაგოგის ჯგუფში მხარდაჭერა ბავშვის ფუნქციონირების სფეროების (მობილობა, კოორდინაცია, ნატიფ-მოტორული აქტივობების შესრულება, ყოველდღიური აქტივობების - ჭამა, დაბანა, ჩაცმა, ტუალეტი, თამაში შესრულება და სხვ) და აქტივობების შეთავაზების/ორგანიზების/გამოყენების პროცესში;
- მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბავშვის ოჯაციდან ბაღში და ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა ბავშვის განვითარების მხარდამჭერ უწყებებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტები).

ბავშვის ინდივიდუალური ასისტენტის სამუშაო აღწერილობა

- ბავშვის თანხლება საგანმანათლებლო - სააღმზრდელო პროცესში და მისი აქტივობებში ჩართულობის უზრუნველყოფა მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ განსაზღვრული სტრატეგიების შესაბამისად;
- ბავშვის ასისტირება ბაღის გარემოში მიმდინარე აქტივობების შესრულების პროცესში - ყოველდღიური ცხოვრებისეული აქტივობების (ჩაცმა, დაბანა, ტუალეტის მომხარება, ჭამა) შესრულებისას, თანატოლებთან კომუნიკაციისას, მობილობისას, საგანმანათლებლო, გასართობი აქტივობების შესრულებისას;
- ბავშვის უსაფრთოხებაზე ზრუნვა;
- ბავშვის მხარდაჭერა აღმზრდელ-პედაგოგის და სხვა სპეციალისტების მიერ განსაზღვრულ საკითხებზე, აქტივობებში;
- აღმზრდელ-პედაგოგების ინფორმირება ბავშვთან დაკავშირებულ საყურადღებო საკითხებზე.

ჟესტური ენის თარჯიმნის სამუშაო აღწერილობა

- სმენის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე / ყრუ ბავშვის თანხლება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში და მიმდინარე პროცესების მისთვის ჟესტურ ენაზე თარგმნა;
- ბავშვის და თანატოლების კომუნიკაციის ფასილიტაცია და ხელშეწყობა საუბრის ჟესტურ ენაზე თარგმნის გზით;
- ბავშვის, აღმზრდელ-პედაგოგთა და სხვა სპეციალისტების კომუნიკაციის ხელშეწყობა საუბრის ჟესტურ ენაზე ორმხრივად თარგმნის გზით; ინსტრუქციების ჟესტურ ენაზე თარგმნა;
- ბავშვის ჟესტური ენის გამოყენების უნარების გაძლიერება;
- ბავშვის მიერ ჟესტური ენის გამოყენებაზე რეფლექსია - პროგრესის შეფასება;
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ინფორმირება.

მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა

- მხედველობის მნიშვნელოვანი დარღვევის მქონე / უსინათლო ბავშვის თანხლება საგანმანათლებლო სააღმზრდელო პროცესში და მისი სივრცესა და გარემოში ორიენტაციის ხელშეწყობა;
- ბავშვის გარემოს მოწყობა გარემოსთან ინტერაქციის გაიოლების მიზნით, რეკომენდაციების უზრუნველყოფა მშობლისთვის, აღმზრდელ-პედაგოგისთვის, სხვა სპეციალისტებისთვის გარემოს მოწყობის და მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ბავშვის, თანატოლების, აღმზრდელ-პედაგოგთა და სხვა სპეციალისტთა კომუნიკაციის ფასილიტაცია;
- ბავშვის კოორდინაციის, სივრცეში ორიენტაციის უნარების გაძლიერება;
- ბავშვის კოორდინაციის, სივრცეში ორიენტაციის უნარებზე რეფლექსია - პროგრესის შეფასება, მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ინფორმირება
- მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბავშვის ბაღში და ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა ბავშვის განვითარების მხარდამჭერ უწყებებთან (ადრეული განვითარების სპეციალისტები).

სკოლამდელი განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სამუშაო აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ გუნდის წევრების საქმიანობა და ჩართულობა ბავშვის მხარდაჭერის პროცესში განსხვავებულია.

გუნდის წევრები შესაძლებელია:

- უშუალოდ იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში და აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად ან დამოუკიდებლად მუშაობდნენ ბავშვთან/ბავშვებთან (ერთი-ერთზე ან ჯგუფში);

- უწევდნენ კონსულტაციას აღმზრდელ-პედაგოგს, ძიძას ან ბავშვის ინდივიდუალურ ასისტენტს ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე (ქცევის მართვა, სასარგებლო აქტივობები, ინსტრუქციის ფორმულირება და სხვ) და უშუალოდ არ მონაწილეობდნენ სააღმზრდელო პროცესში.

ის, თუ რა ფორმით და რა ინტენსივობით იქნება სპეციალისტი ჩართული ბავშვის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში დამოკიდებულია, პირველ რიგში, ბავშვის, შემდეგ კი აღმზრდელ-პედაგოგის საჭიროებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ბავშვის შემთხევაში ენისა და მეტყველების თერაპევტი შესაძლებელია მხოლოდ აღმზრდელ-პედაგოგის და მშობლის კონსულტირებით შემოიფარგლებოდეს, სხვა ბავშვთან კი აღნიშნული სპეციალისტი სრულიად დასაშვებია, რომ ჯგუფში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესში ერთვებოდეს სპეციფიური აქტივობების/თამაშების შეთავაზებით ან ერთი-ერთზე მუშაობდეს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი სპეციალისტი, სამუშაო აღწერილობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად რჩება ბავშვთან, რადგან მისი მხარდაჭერა სწორედ ბავშთან უშუალო და უწყვეტ ყოფნას გულისხმობს. აღნიშნული უპირატესად ეხება ჟესტური ენის თარჯიმანს და ბავშვის ინდივიდუალურ ასისტენტს.

ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილება სპეციალისტის ჩართულობის ფორმაზე და ინტენსივობაზე შეთანხმებულად გუნდში უნდა მიიღებოდეს ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე და აღნიშნული გადაწყვეტილებით ყველა მხარე კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ბაღში შესაძლებელია არსებობდეს მულტიდისციპლინური გუნდის ფართო შემადგენლობა, თუმცა, კონკრეტული ბავშის საჭიროებიდან გამომდინარე, მისი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მხარდასაჭერად დასაშვებია ერთვებოდეს მხოლოდ ერთი სპეციალისტი. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს მეტყველების განვითარების სპეციფიური დარღვევა, რაც გავლენას ახდენს მხოლოდ მის კომუნიკაციის უნარებზე, მას მეტი ვარაუდით დასჭირდება ენისა და

მეტყველების თერაპევტის მხარდაჭერა, და არ დასჭირდება ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის ჩართულობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კადრი მისაწვდომია ბაღში. ის, თუ რომელი სპეციალისტი/სპეციალისტები უნდა ჩაერთონ ბავშვის მხარდაჭერის პროცესში, დამოკიდებულია ბავშვის საჭიროებაზე და ბაღში სპეციალისტების არსებობა არ განაპირობებს მათ აუცილებელ მუშაობას ბავშვთან.

ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, მისთვის განსაზღვრული მულტიდისციპლინური გუნდი იღებს გადაწყვეტილებას გუნდის რომელი წევრი რა ფორმით და რა ინტენსივობით იღებს მონაწილეობას მის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში.

განვიხილოთ მაგალითები:

გიორგის ესაჭიროება დამატებითი მხარდაჭერა განვითარების შემდეგ სფეროებში - ენა, მეტყველება, კომუნიკაცია, მსხვილი და ნატიფი მოტორიკა, პროსოციაულური ქცევა; მას ასევე აღენიშნება ქცევის რეგულაციის სირთულეები, ხშირად აპროტესტებს მიღებულ ინსტრუქციებს და უარს ამბობს ჯგუფურ აქტივობებში მონაწილოებაზე.

გიორგისთვის აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად განისაზღვრა მულტიდისციპლინური გუნდის შემდეგი შემადგენლობა - ენისა და მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი. ამავდროულად გადაწყდა, რომ გიორგის ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც ბაღში სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, იმუშავებს მის ჯგუფში კვირაში ორჯერ და ასევე, კვირაში ორჯერ ნახევარი საათი პირისპირ შეხვდება მას სპეციფიური აქტივობების შესასრულებლად. მეტყველების თერაპევტი გიორგის შეხვდება კვირაში სამჯერ მცირე ჯგუფში სხვა ბავშვებთან ერთად, ხოლო ფსიქოლოგი გიორგის ქცევის რეგულირების მიზნით აღმზრდელ-პედაგოგს გაუწევს კონსულტაციას.

გიორგისგან განსხვავებით ანას საჭიროების გათვალისწინებით, რომელსაც მხოლოდ მცირედი სირთულეები აქვს კომუნიკაციის თვალსაზრისით, სრულიად საკმარისად განისაზღვრება ენისა და მეტყველების თერაპევტის მიერ აღმზრდელ-პედაგოგის კონსულტაცია.

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის დაგეგმვის და განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა. აღსანიშნავია, რომ ყველა ბავშვს, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, შეიძლება არ სჭირდებოდეს ინდივიდუალური გეგმის შედგენა. თუმცა, იმ ბავშვებისთვის, ვისი შესაძლებლობებიც უფრო მეტად განსხვავდება სხვა ბავშვებისაგან და მათ უფრო ინტენსიური მხარდაჭერა სჭირდებათ, რაც სცდება ჯგუფში მიმდინარე პროცესების ადაპტირებას, ბაღი, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, ადგენს ბავშვისთვის განვითარების ინდივიდუალურ გეგმას. განვითარების ინდივიდუალური გეგმა მოიცავს ინფორმაციას ბავშვის საჭიროებების, პროგრესის და განვითარების მიზნების შესახებ. შესაბამისად, ამ გეგმის შედგენაში ჩართულია როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე ბაღის სხვა სპეციალისტები (ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, სხვ.), იმ ორგანიზაციის სპეციალისტი, რომლის მომსახურებასაც ბავშვი იღებს ბაღის გარეთ (მაგ. ადრეული ინტერვენციის პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციები, დღის ცენტრები და სხვ.) და მშობელი.

განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენა ხდება შეხვედრაზე, სადაც გუნდი განიხილავს რა არის პრიორიტეტი ბავშვისთვის, როგორ იმუშავებს გუნდი მომავალში და რა სიხშირით შეხვდება. ამავე შეხვედრაზე ხდება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური მიზნების ფორმულირება და იმის დადგენა, თუ როგორ აპირებს გუნდი ამ მიზნების მისაღწევად ბავშვის მხარდაჭერას. ასეთი შეხვედრები გარკვეული პერიოდულობით უნდა ტარდებოდეს და ხდებოდეს გეგმის გადახედვა, განახლებული ინფორმაციის დამატება, მიღწეული მიზნების ამოღება და ახალი მიზნების ჩამოყალიბება. ასევე, იმის განხილვა, თუ რატომ ვერ მოხდა გარკვეული მიზნის მიღწევა და რა ახალი სტრატეგია შეიძლება დაიგეგმოს.

განვითარების ინდივიდუალურ გეგმაში შესატანი ინფორმაცია შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები აქვს ბავშვს.

განვითარების ინდივიდუალურ გეგმაში შესაძლებელია შევიდეს შემდეგი ელემენტები:

- ბავშვის და მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია
- ინფორმაცია გეგმის შედგენაში მონაწილე პირების შესახებ
- მშობლის პრიორიტეტები
- ინფორმაცია და რეკომენდაციები იმ ორგანიზაციიდან, რომელიც ემსახურება ბავშვს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- ბავშვის გამოცდილებები, როგორ და რა აქტივობებში არის ჩართული უფრო ხშირად. როგორ იქცევა სხვადასხვა სიტუაციაში და როგორ უმკლავდება სხვადასხვა გამოწვევას
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალური მიზნები, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმ მიზნებისგან რაც საგანმანათლებლო პერსონალს სტანდარტის მიხედვით აქვს განსაზღვრული მთელი ჯგუფისთვის.
- როგორ გეგმავს ბაღი ამ მიზნების მიღწევას, კერძოდ, რა არის თითოეული ჩართული სპეციალისტის როლი, რა რესურსია საჭირო ამ მიზნების მისაღწევად, რა კონკრეტული აქტივობების განხორციელება არის საჭირო მიზნების მისაღწევად.



თანამშრომლობა თემში არსებულ ბავშვის მხარდამჭერ უწყებებთან

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი, იდენტიფიცირებული დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების გამო, თემში არსებული რომელიმე მომსახურების მიმღებია ან მიმღები ხდება, მაშინ ამ უწყებასთან თანმშრომლობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ბაღის ვალდებულება ხდება.

ფუნქციონირების ამა თუ იმ სფეროს (კომუნიკაცია, ენა, მეტყველება, ქცევა, შემეცნებითი და / ან მოტორული უნარები) განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ბავშვი შესაძლებელია სხვადასხვა სახელმწიფო მომსახურებაში იყოს ჩართული. აღნიშნული მომსახურებებს შორისაა ადრეული განვითარების პროგრამა, აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამა, აუტიზმის პროგრამა. ჩამოთვლილი პროგრამები წარმოადგენს სახელმწიფოს - ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობის მიერ დაფინანსებულ მომსახურებებს, რომლებიც განსაზღვრულია ბავშვებისთვის, თუ მათ განვითარების ამა თუ იმ სფეროს დაყოვნება აღენიშნებათ ან აქვთ კონკრეტული ჯანმრთელობის მდგომარეობა ან დიაგნოზი. ასევე შესაძლებელია ბავშვი ცალკეულ თერაპიულ მომსახურებას იღებდეს, მაგ. ესწრებოდეს სენსორული ინტეგრაციის სეანსებს, ენისა და მეტყველების განვითარების მხარდამჭერ თერაპიულ შეხვედრებს, იტარებდეს ფიზიკურ თერაპიას, მშობელი იღებდეს ფსიქოლოგის კონსულტაციას და სხვ.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მომსახურებებში ჩართვის მიზნით, ბავშვი უნდა აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც აღნიშნული პროგრამისთვის არის განსაზღვრული და მომსახურების მისაღებად უნდა წარადგენდეს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო დოკუმენტაციას - ექიმის დასკვნას, სადაც დადასტურებულია აღნიშნული მომსახურების მიღების საჭიროება.

მშობლის ინფორმირება მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ჩართვა სახელმწიფო მომსახურებებში ხდება ექიმის დასკვნის საფუძველზე, მშობლის ინფორმირება აღნიშნული მომსახურების არსებობის, მათი სარგებლის და ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, შესაძლებელია სწორედ ბაღის მიერ ხდებოდეს. აღნიშნულ გარემოებას ადგილი ექნება, უპირატესად იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება პირველად ბაღის გარემოში მოხდება და მშობელი იმ მომენტისთვის ნაკლებად იქნება ინფორმირებული იმ სპეციფიური მომსახურებების შესახებ, რომლებიც თემში არსებობს ბავშვებისთვის მათი განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ბაღი ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას თემში არსებულ მომსახურებებზე, მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებზე და მომსახურების მიღების პროცედურებზე, რომელსაც შეხვედრისას ზეპირსიტყვიერად უნდა განუმარტავდეს მშობელს და ასევე წერილობით უზიარებდეს.

მნიშვნელოვანია, ბაღი ითვალისწინებდეს იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთ მშობელს ბავშვის მომსახურებაში ჩართვისთვის შესაძლებელია ბაღის მხრიდან უფრო მეტი და ინტენსიური მხარდაჭერა დასჭირდეს, ვიდრე ინფორმაციის (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებაა. ბაღს შესაძლებელია დასჭირდეს მშობლისთვის მხარდაჭერილი რეფერალის გაწევა, რაც გულისხმობს მომსახურების მიღებისთვის საჭირო პროცედურების მშობელთან ერთად გავლას - მშობლის შუამდგომლობას ჯანდაცვის სპეციალისტთან ან მომსახურების მიმწოდებელთან პირველადი კომუნიკაციის დამყარების პროცესში, მშობლის მხარდაჭერას საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების პროცესში და მიყოლას, სანამ ბავშვი არ გახდება მომსახურების მიმღები.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ მხარდაჭერას ბაღი დიდი სიფრთხილით უზრუნველყოფდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ თემში არსებობს ადრეული განვითარების მომსახურების რამდენიმე მიმწოდებელი, დაუშვებელია, ბაღმა მშობელს უბიძგოს და არჩევანი კონკრეტული მომსახურების მიმწოდებლის სასარგებლოდ განახორციელებინოს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ბაღი უნდა დარჩეს მიუკერძოებელი და თავის ვალდებულებად უნდა განსაზღვროს მხოლოდ მშობლის ინფორმირება მომსახურების მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობაზე, არჩევანზე პასუხიმგებლობა კი მშობელს დაუტოვოს. მაქსიმუმი, რაც ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია რომ ბაღმა უზრუნველყოს, არის მშობლის კონსულტირება, თუ რა ფაქტორებზე გაამახვილოს ყურადღება მიმწოდებლებს შორის არჩევანის გაკეთებამდე; ასევე, შესაძლებელია, ბაღმა

დააკავშიროს მშობელი სხვა მშობლებს, რომელთა შვილებიც უკვე არიან ჩართულნი აღნიშნულ მომსახურებაში და აქვთ მომსახურების კონკრეტულ მიმწოდებელთან თანამშრომლობის გამოცდილება.

იმისათვის, რომ ბაღი სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას თემში არსებულ მხარდამჭერ მომსახურებებზე და მომსახურების მიმწოდებლებზე, მნიშვნელოვანია ბაღის ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევდეს რეგულარულ შეხვედრებს (წელიწადში მინიმუმ ორჯერ) ბავშვზე ზრუნვის სააგენტოს რეგიონულ ოფისებთან და აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე ანახლებდეს ინფორმაციას ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ; ასევე, აქტიურ კომუნიკაციას ინარჩუნებდეს მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, ადგილობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების და განახლების მიზნით. მნიშვნელოვანია, ბაღი პროაქტიულ კომუნიკაციას ამყარებდეს სოციალური მიმართულების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათი პროგრამული აქტივობების შესახებ ინფორმირებულობის მიზნით.

მხარდამჭერ მომსახურებებთან კომუნიკაცია მომსახურების მიმღები ბავშვის თაობაზე

მნიშვნელოვანია ბაღმა მხარდამჭერ მომსახურებასთან კომუნიკაცია გააგრძელოს მას შემდეგაც, რაც ბავშვი აღნიშნულ მომსახურებაში ჩაერთვება; აუცილებელია, რომ აღნიშნული კომუნიკაცია დამყარდეს, თუ ბავშვი რომელიმე მხარდამჭერ მომსახურებაში ჩართულია და ბაღისთვის აღნიშნული გაცხადდება მშობელთან გასაუბრების შემდეგ. მას შემდეგ, რაც მშობელი ბაღს ჩააყენებს საქმის კურსში რომ ბავშვი ჩაერთო ან ჩართული არის განვითარების მხარდამჭერ მომსახურებებში, ბაღმა უნდა გაუზიაროს მშობელს აღნიშნულ ორ უწყებას შორის კომუნიკაციის მნიშვნელობა და დააზუსტოს, უჭერს თუ არა მშობელი მხარს იმას, რომ ბაღსა და მომსახურებას შორის თანამშრომლობითი კომუნიკაცია შედგეს.

ბაღსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის კომუნიკაცია გადამწყვეტია ბავშვის განვითარებაზე პოზიტიური გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, აღნიშნული კომუნიკაცია მშობლის აქტიური მონაწილეობით ხორციელდებოდეს. იმისათვის, რომ აღნიშნული თანამშრომლობა შედგეს, თითოეული უწყება უნდა აცნობიერებდეს მეორე უწყების როლს და მნიშვნელობას ბავშვის განვითარების მხარდაჭერის პროცესში. დღის უმეტეს ნაწილს მთელი კვირის განმავლობაში ბავშვი ბაღში ატარებს, სადაც ის მრავალფეროვან გამოცდილებას იღებს და სადაც არსებობს ულევი შესაძლებლობა, მოხდეს ბავშვის ფუნქციონირების სფეროების/ უნარების განვითარების სტიმულირება და ბუნებრივ კონტექსტში გამოყენება; განვითარების მხარდამჭერ მომსახურებებში ბავშვი იღებს მის საჭიროებებზე მორგებულ და ფოკუსირებულ თერაპიას, რომელიც განსაზღვრულია სპეციალისტის მიერ ბავშვის განვითარების სფეროების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული თერაპიები ვრცელდება კვირაში რამდენიმე საათის განმავლობაში, თუმცა, ფოკუსირებული ინტერვენცია, რომელსაც ბავშვი განვითარების მხარდამჭერ მომსახურებაში იღებს უნდა განზოგადდეს და გავრცელდეს იმ ბუნებრივ კონტექსტში, სადაც ბავშვი დროის დანარჩენ და უმეტეს ნაწილს ატარებს.

შესაბამისად, ორივე უწყებას აქვს გადამწყვეტი როლი ბავშვის განვითარების მხარდაჭერის პროცესში და აღნიშნული უწყებების როლი ურთიერთშემავსებელია.

იმ შემთხვევაში, თუ მშობელს ბაღისა და მხარდამჭერი მომსახურების დიფერენცირებული და ამავდროულად ურთიერთშემავსებელი ფუნქციები ჯერ არ აქვს გაცნობიერებული, მიზანშეწონილია, ბაღის წარმომადგენელმა განუმარტოს აღნიშნული მშობელს და ხაზი გაუსვას მათ შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მხარდამჭერი მომსახურების მიმღებია, არ არის გამორიცხული, რომ თავად მხარდამჭერი მომსახურება იყოს პროაქტიული ბაღთან კომუნიკაციის პროცესში, მან მიაწოდოს პირველადი ინფორმაცია თანამშრომლობის საჭიროების შესახებ და სთხოვოს შუამდგომლობა შეხვედრის ორგანიზებისთვის.

თანამშრომლობის მიზანი

ბაღსა და მხარდამჭერ მომსახურების მიმწოდებელს შორის თანამშრომლობა შემდეგ მიზანს ემსახურება:

უწყებებმა გაცვალონ ინფორმაცია ბავშვის შესახებ

როგორც ბაღი, ისე მხარდამჭერი მომსახურების მიმწოდებელი იცნობენ ბავშვს, ამავდროულად, ერთ-ერთი უწყება შესაძლებელია უფრო მეტ ინფორმაციას ფლობდეს ბავშვზე, თუ ის აღნიშნულ უწყებაში უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში არის ჩართული. ამავდროულად, აღნიშნული უწყებები ბავშვზე ფლობენ განსხვავებულ ინფორმაციას, ერთი უწყება აკვირდება მის ფუნქციონირებას ბუნებრივ გარემოში, მეორე უწყებას კი დამატებით შესაძლებელია ჰქონდეს ფოკუსირებული შეფასების მონაცემები. შესაბამისად, აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველზე, უწყებები გაცვლიან ინფორმაციას ბავშვის შესახებ და ხელს შეუწყობენ ერთმანეთს უკეთ დაინახონ ბავშვის შესაძლებლობები და გაერკვენ მის საჭიროებებში. მნიშვნელოვანია, ინფორმაციის გაცვლის პროცესი იყოს კონფიდენციალური და ბავშვის შესახებ პერსონალური ინფორმაცია არ გახდეს ხელმისაწვდომი გარეშე პირებისთვის.

უწყებებმა გაუზიარონ ერთმანეთს და შეათანხმონ ინტერვენციის სტრატეგიები

ბავშვის შეფასების და მასთან კომუნიკაციის საფუძველზე თითოეული უწყება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს ბავშვთან კომუნიკაციის და მისი მხარდაჭერის სტრატეგიებს. მნიშვნელოვანია, უწყებებმა, ერთი მხრივ, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება და ეფექტური სტრატეგიები, ხოლო, მეორე მხრივ, მიაღწიონ შეთანხმებას, როგორ გააძლიერონ ერთმანეთის საქმიანობა ეფექტური სტრატეგიების შეთანხმებულად გამოყენების გზით.

უწყებებმა ერთმანეთისგან მიიღონ სასარგებლო რეკომენდაციები და მშობლებს გაუწიონ შეთანხმებული კონსულტაცია

მიუხედავად იმისა, რომ ორივე უწყებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ბავშვის განვითარების მხარდაჭერის თვალსაზრისით, მათი კომპეტენციები გარკვეულწილად განსხვავებულია, ისინი სხვადასხვა კონტექსტში აკვირდებიან ბავშვს და შესაბამისად, შესაძლებელია ერთმანეთისთვის ჰქონდეთ განსხვავებული რეკომენდაციები ბავშვის განვითარების მხარდაჭერის მიზნით; ამავდროულად, აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველზე უწყებები შეთანხმებულ კონსულტაციას გაუწევენ მშობელს და დააზღვევენ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გაზიარებას. აღსანიშნავია, ასევე, რომ, გარკვეული პერიოდულობით, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს, ბავშვის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ახალ-ახალი სტრატეგიების განსაზღვრის საჭიროება, შესაბამისად, აღნიშნულ სტრატეგიებს უწყებები იმთავითვე შეთანხმებულად განსაზღვრავენ.

თანამშრომლობის ფორმები და ინტენსივობა

ბაღსა და მხარდამჭერ უწყებას შორის თანამშრომლობა შესაძლებელია სხვადასხვა გზებითა და კომუნიკაციის საშუალებებით ხდებოდეს. რასაკვირველია, ყველაზე ეფექტურია გუნდის პირისპირ შეხვედრები, რომლებიც შესაძლებელია, რომელიმე უწყების გარემოში განხორციელდეს.

იმისათვის, რომ თანამშრომლობა შედგეს, გადამწყვეტია ორივე უწყების წარმომადგენელს ჰქონდეს მიმღებლობა პარტნიორობის აღნიშნული ფორმატის მიმართ და თანამშრომლობის ფორმა შეთანხმებული იყოს უწყებების ადმინისტრაციასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაღის ადმინისტრაცია საქმის კურსში უნდა იყოს და მხარს უნდა უჭერდეს იმ გარემოებას, რომ მის სივრცეში გაიმართება გუნდის შეხვედრა, რომელსაც დაესწრება მისი უწყების თანამშრომელი/ები, ბავშვის მშობელი და მოწვეული სპეციალისტი სხვა უწყებიდან. ანალოგიური დამოკიდებულება უდნა არსებობდეს ბავშვის განვითარების მხარდამჭერ უწყებაშიც.

შეხვედრები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პირისპირ, როდესაც გუნდის წევრები იკრიბებიან რომელიმე გარემოში, საგანმანათლებლო/სამუშაო დროის დასასრულს, ასევე დისტანციურად (ონლაინ), რომელიმე სოციალური პლატფორმის გამოყენებით. შესაძლებელია შეხვედრების ჰიბრიდულ ფორმატში დაორგანიზებაც. მაგალითად, მშობელი მიდის ადრეული განვითარების მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში და იქიდან სპეციალისტებთან ერთად ერთვება დისტანციურ შეხვედრაში.

ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ფორმატის შეხვედრები ძალიან ხელსაყრელია, ზოგავს მგზავრობისთვის განსაზღვრულ დროს და განსაკუთრებით მოსახერხებელია, თუ ბავშვის ბაღი და განვითარების მხარდამჭერი მომსახურება ტერიტორიულად დაშორებული არიან ერთმანეთისგან.

ამავდროულად, ორივე უწყება უნდა აცნობიერებდეს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გარდაუვალი იყოს ერთი უწყების წარმომადგენლის ვიზიტი მეორე უწყებაში - იქ მიმდინარე რეალურ პროცესებზე დაკვირვების, გამოცდილების ამგვარად გაზიარების ან კონსულტირების მიზნით. იგულისხმება, ადრეული განვითარების სპეციალისტის ვიზიტი ბაღში, ბავშვის ფუნქციონირების ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოში შეფასების მიზნით და აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიების რეალურად (და არა გადმოცემით) გაცნობის მიზნით. აღნიშნული ვიზიტები მეტად სასარგებლოა, რადგან უკეთეს წარმოდგენას უქმნის გუნდის წევრებს ბავშვის

ფუნქციონირების, მისი მხარდაჭერის სტრატეგიების და ერმანეთის საქმიანობის შესახებ ქმნის უკეთეს წინაპირობას ეფექტური რეკომენდაციების განსაზღვრისთვის და ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრული სტრატეგიების გამოყენების დემონსტრირებისთვის. რასაკვირველია თანამშრობლობის ფორმატი არ გამორიცხავს ერთმანეთისთვის ბავშვის ფუქნციონირების და გამოყენებული სტრატეგიების ამსახველი ვიდეო ჩანაწერების ან წერილობითი დოკუმენტაციის გაზიარებას.

შეხვედრების ინტენსივობა, როგორც წესი, ბავშვის საჭიროებით არის განსაზღვრული. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრები დაუყოვნებლივ შედგეს, მას შემდეგ, რაც გაცხადდება, რომ ბავშვი რამდენიმე უწყების მომსახურებაშია ჩართული, ბავშვთან გამოყენებული მიდგომების შეთანხმების მიზნით. შემდეგ ეტაპზე, შესაძლებელია დამატებითი შეხვედრების განსაზღვრა საჭიროებიდან გამომდინარე.

გასათვალისწინებელია, რომ ანალოგიური თანამშრომლობა უნდა დაინერგოს ბავშვის სკოლასთან მას შემდეგ, რაც მისთვის ზოგადი განათლების დაწესებულება განისაზღვრება, მოხდება მისი რეგისტრაცია და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა.

ბაღის ადმინისტრაციის როლი და პასუხისმგებლობა ინკლუზიური გარემოს ფორმირებაში

ბაღში ინკლუზიური საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ბაღის მენეჯმენტის როლი და ჩართულობა დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ამისათვის, ბაღის ადმინისტრაცია ზედმიწევნით უნდა იყოს ინფორმირებული იმ დამატებითი მახარდაჭერის შესახებ, რომელსაც ბაღში ჩარიცხული ბავშვები საჭიროებენ და უნდა ზრუნავდეს მათთვის აღნიშნული მხარდაჭერის მიწოდებაზე. ბაღის ადმინისტრაციის ჩართულობა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ბავშვის საჭიროებებზე წარმოებული დოკუმენტების დამოწმებით.

ბაღის ადმინისტრაციის მხრიდან ბავშვების საჭიროებებში გარკვევა და მათზე რეაგირება ბავშვის საჭიროებების უკეთ დანახვის, გააანალიზებისა და ადეკვატური რეაგირებისთვის, ნათელია, ადმინისტრაციის წევრის უშუალო ჩართულობის მნიშვნელობა გუნდის შეხვედრებში, რომელიც იქმნება დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვის საკითხების გადასაწყვეტად. აღნიშნული გუნდების ფორმირების აუცილებლობა განსაზღვრულია ბაღის შიდა რეგულაციით და მათ ფორმირებას კოორდინირებას და მონიტორინგს უნდა უწევდეს ბაღის ადმინისტრაცია.

გუნდის შემადგენლობაში შედის ბავშვის მშობელი, მისი აღმზრდელ-პედაგოგი, პედაგოგი, ადმინისტრაციის წევრი და დამატებითი სპეციალისტი/ები, რომლებიც დასაქმებულნი არიან მოცემულ ბაღში ან თანამშრომლობენ აღნიშნულ ბაღთან. თითოეული ბავშვისთვის ფორმირებული გუნდი, მეტი ალბათობით, იქნება მულტიდისციპლინური. საყურადღებოა, რომ ბაღში ჩართული მხარდამჭერი სპეციალისტები იქნებიან რამდენიმე გუნდის წევრები, თუ ბაღში რამდენიმე მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი იდენტიფიცირდა. აღმზრდელ-პედაგოგები კი იქნებიან მხოლოდ იმ ბავშვის/ბავშვების გუნდის წევრები, რომლებიც მათ ჯგუფში ირიცხებიან.

გუნდი ფორმირდება და იკრიბება დაუყოვნებლივ, როგორც კი გაცხადდება ან გაჩნდება ეჭვი ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ. ბაღში დასაშვებია არსებობდეს იმდენი გუნდი, რამდენი დამატებითი საჭიროების მქონე ბავშვიც იდენტიფიცირდება.
გუნდის შეკრების მიზანია ბავშვის დამატებით საჭიროებებში გარკვევა და კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

თითოეული გუნდი მუშაობს კონკრეტული ბავშვის საჭიროების გადაწყვეტაზე.

ე.ვ.-ს საჭიროებებზე რეაგირების გუნდი

ა.ბ.-ს საჭიროებებზე რეაგირების გუნდი



გ.დ.-ს საჭიროებებზე რეაგირების გუნდი

ზ.თ.-ს საჭიროებებზე რეაგირების გუნდი



ბაღის ადმინისტრაციის ამოცანაა, მოახდინოს თითოეული გუნდის ფარგლებში იდენტიფიცირებული საჭიროებების კონსოლიდირება, გაეცნოს საჭიროებებზე რეაგირების მათ ხედვებს, მოსაზრებას, თავადაც შესთავაზოს გუნდს საკითხების გადაწყვეტის გზები და ამავდროულად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათ გადაწყვეტაში.

ამისათვის, შესაძლებელია ბაღის ადმინისტრაცია ესწრებოდეს ცალკეული ბავშვისთვის ფორმირებული გუნდის განხილვებს, ეცნობოდეს გუნდის მიერ წარმოებულ ოქმებს ან ხვდებოდეს ბაღის მულტიდისციპლინურ გუნდს და მათი საშუალებით აზუსტებდეს მისთვის საყურადღებო საკითხებს.

საბოლოოდ, ბაღის ადმინისტრაცია, ბაღის მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად უნდა ადგენდეს მიმდინარე წლისთვის ბავშვების საჭიროებებზე რეაგირების გეგმას.

ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია:

- შეიმუშაოს დაწესებულების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გეგმა მთავრობის დადგენილების გათვალისწინებით და ეტაპობრივად უზრუნველყოს მისი რეალიზება;
- შეიმუშაოს კონკრეტული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, გონივრული მისადაგების გეგმა და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დაწესებულებაში შესაბამისი ცვლილებები;
- შეიმუშაოს აღმზრდელ-პედაგოგთა კომპეტენციის ზრდის გეგმა და უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგთა მივლინება შესაბამის ღონისძიებებზე;
- უზრუნველყოს ბავშვისთვის მხარდამჭერი მომსახურების მიწოდება (ბაღში შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა) - ინდივიდუალური ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ენისა და მეტყველების თერაპევტი და სხვ.
- უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგთათვის კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა სხვა სპეციალისტებისგან - ადრეული განვითარების სპეციალისტი, ქცევის თერაპევტი, ფსიქოლოგი და სხვ.
- უზრუნველყოს ბაღი შესაბამისი განმავითარებელი რესურსებით.

შიდა და გარე რესურსების მობილიზება ბავშვებისთვის დამატებითი მხარდაჭერის მისაწოდებლად

ბავშვისთვის დამატებითი მხარდაჭერის მიწოდება ხშირად გულისხმობს სპეციფიკური მხარდამჭერი ღონისძიებებისა და სერვისების უზრუნველყოფას ბაღის სივრცეში, რის განხორციელებაზე პასუხისმგებლობაც სწორედ ბაღის ადმინისტრაციას ეკისრება. მაგალითად, ბავშვის არსებული მდგომარეობა შეიძლება მოითხოვდეს ჯგუფში გარემოს შეცვლას, ბავშვისთვის ადაპტირებული ავეჯის უზრუნველყოფას, შენობის შესასვლელთან პანდუსის მონტაჟს, დამხმარე სპეციალისტის დაქირავებას და ბავშვის ბაღში ტრასპორტირების საკითხის გადაჭრაზე ზრუნვას, აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ. აღნიშნული საჭიროებების გადაწყვეტისას ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია იყოს პროაქტიული და მოკლე დროში შეძლოს საკითხების გონივრული გადაწყვეტა. ამისათვის, ბაღის ადმინისტრაციას დასჭირდება შიდა ან გარე რესურსების მობილიზება.

იდენტიფიცირებული საკითხების გადასაწყვეტად, რასაკვირველია, პირველ რიგში, ბაღის ადმინისტრაციას მოეთხოვება შიდა რესურსების მობილიზება და უფლებამოსილების ფარგლებში არსებული ღონისძიებების გატარება. მაგალითად, ჯგუფებისთვის ოთახების ცვლილება, ჯგუფის შიგნით გარემოს მოდიფიცირება, აღმზრდელ-პედაგოგის დარეგისტრირება საგანმანათლებლო კურსზე და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ შიდა რესურსებით განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისი აღმოჩნდა ბავშვების დამატებითი საჭიროების დაკმაყოფილებისთვის, ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია, მხარდაჭერისთვის მიმართოს შესაბამის უწყებებს - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას, ბაღების მართვის მუნიციპალურ სამსახურს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორს. მიმართვისას, ბაღის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული უწყებების ინფორმირება ბაღში არსებულ საჭიროებებზე, საჭიროების დასაბუთება, ბავშვების ინტერესების დაცვა, ადვოკატირება და სხვ.

იმისათვის, რომ ბაღის ადმინისტრაციამ დამაჯერებლად შეძლოს ე.წ. გაერთიანების წინაშე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების დასაბუთება, ის ზედმიწევნით უნდა იცნობდეს თავის საჭიროებებს და მათ გამომწვევ მიზეზებს; ამავდროულად, უნდა შეძლოს დასაბუთება იმისა, რომ ბაღმა პირველ რიგში შიდა რესურსით უზრუნველყო იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე რეაგირება და მხოლოდ მას შემდეგ მიმართა ბაღების გაერთიანებას, რაც შიდა რესურსი არ აღმოჩნდა საკმარისი ბავშვების დამატებითი მხარდაჭერის დასაკმაყოფილებლად (ბაღის ადმინისტრაციამ უნდა შეძლოს იმის ჩვენება,

თუ რა ღონისძიებები გაატარა დამოუკიდებლად საჭიროებებზე რეაგირების მიზნით). მნიშვნელოვანია, ბაღის ადმინისტრაცია საგანგებოდ მოემზადოს ბაღების მართვის სამსახურის და სხვა მუნიციპალური უწყებების წინაშე ბაღში არსებული საჭიროებების წარდგენისთვის. ამისათვის, ბაღის ადმინისტრაციამ სხვადასხვა ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგებთან და ბაღის მხარდამჭერ პერსონალთან აქტიური კომუნიკაციით, უნდა მოახდინოს ბაღში არსებული საჭიროებების კონსოლიდირება და თავის წარდგენაში ასახოს ბაღის სრული კონტექსტი და საჭიროებები. საჭიროებები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ბაღში ახლად ჩარიცხულ ბავშვებთან და ასევე იმ ბავშვებთან, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ირიცხებიან ბაღში.

საჭიროებების წარდგენისას, მნიშვნელოვანია ბაღის მენეჯერი იყოს მაქსიმალურად კონკრეტული, არ შემოიფარგლოს პრობლემის ზოგადი აღწერით. მაგალითად, მან უნდა შეძლოს ბავშვების რაოდენობის დასახელება, რომლებიც დამატებით მხარადაჭერას საჭიროებენ, არსებული საჭიროებების აღწერა და მათი გადაჭრის გზების ჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღს მოეთხოვება იყოს მაქსიმალურად კონკრეტული ბაღის საჭიროებების წარდგენისას, უმნიშვნელოვანესია ამ პროცესში ბაღმა დაიცვას ეთიკის პრინციპები, ინფორმაციის კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნოს ბავშვების პირადი მონაცემები; ამავდროულად ე.წ. ბაღების გაერთიანების წინაშე ისაუბროს არამხოლოდ პრობლემებზე, არამედ შესთავაზოს გარკვეული ხედვა, გზა პრობლემის გადაჭრისთვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია ბაღის მენეჯერმა ბაღების მართვის მუნიციპალურ სამსახურს მიმართოს მას შემდეგ, რაც თავად ექნება სრული სურათი ბაღში არსებულ საჭიროებებზე. ბუნებრივია, იმისათვის, რომ ბაღი მომზადებული დახვდეს ბავშვებს, საუკეთესოა აღნიშნული მიმართვა განხორციელდეს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე. შესაბამისად, ბაღის ადმინისტრაციის ვალდებულებაა ოპერატიულად გაეცნოს ახლად დარეგისტრირებული ბავშვების საჭიროებებს, გააანალიზოს აღნიშნული საჭიროებები იმ ბავშვების საჭიროებებთან ერთად, რომლებიც უკვე ირიცხებიან ბაღში და ამ გზით შეიქმნას სრული წარმოდგენა ბაღის მიმდინარე წლის საჭიროებებზე.

საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ბაღის საჭიროებები წლიდან-წლამდე იცვლება ბავშვების ახალი ნაკადის და მათი ასაკის მატებასთან ერთად; შესაბამისად, ბაღი გაერთიანების წინაშე თავისი საჭიროებების წარდგენას ყოველწლიურად უნდა ახორციელებდეს. საჭიროებიდან გამომდინარე კი, შესაძლებელია, წელიწადში ერთზე მეტადაც. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გაჩნდება ბაღში ახალი საჭიროება, რომელიც საწყის ეტაპზე არ იყო გაცხადებული.

იმისათვის, რომ ბაღის გაერთიანებამ ნათლად დაინახოს ბაღში არსებული საჭიროებები, რასაკვირველია სასურველია, ის თავად ეწვიოს ბაღს და მის კონტექსტში მიიღოს არსებული

ინფორმაცია; თუმცა, დასაშვებია, მას სხვაგვარი პრაქტიკა ჰქონდეს დანერგილი და ნაცვლად ამისა, საკუთარ გარემოში ეპატიჟებოდეს ბაღის ადმინისტრაციას საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებში გარკვევის მიზნით.

ბავშვის მხარდაჭერის მონიტორინგი

როგორც აღინიშნა, ბაღის ადმინისტრაცია, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ორგანიზებას და რესურსების მობილიზებას იმისათვის, რომ ბავშვების საჭიროებები შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილდეს; მეორეს მხრივ, ის ახორციელებს მონიტორინგს იმისა, თუ მიწოდებული მხარდაჭერის პირობებში რამდენად ხდება ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება და მისი მდგომარეობის ცვლილება.

ამისათვის, ბაღის ადმინისტრაცია ეცნობა აღმზრდელ-პედაგოგთა საქმიანობას და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განხორციელებულ ინტერვენციას. მონიტორინგის პროცესში ბაღის ადმინისტრაცია აფასებს, რამდენად სრულდება გუნდის მიერ განსაზღვრული გეგმა, მიყვებიან თუ არა პრაქტიკოსები დაგეგმილ სტრატეგიებს. დამატებით ადმინისტრაცია იკვლევს მშობელთა ხედვებს და მათ კმაყოფილებას მიღებული ინტერვენციით.

ბაღის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, ასევე ხდება მულტიდისციპლინურ გუნდთან და ბაღის პერსონალთან განხილვის და მსჯელობის საგანი. ამ შეხვედრებზე პრაქტიკოსები ახორციელებენ რეფლექსიას თავიანთ საქმიანობაზე, მიღწევებზე, გამოწვევებზე, რომლებსაც შეხვდნენ და ა.შ.

ამ გზით, ბაღის მენეჯერი ინარჩუნებს ჩართულობას დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო-განმავითარებელ პროცესებში.



რეგისტრაცია

დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების ადრეული რეგისტრაციის მნიშვნელობა

ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მყისიერი რეაგირება მოახდინოს მის საგანმანათლებლო სივრცეში ჩარიცხული თითოეული ბავშვის საჭიროებაზე/ებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებისთვის დამატებითი მხარდაჭერის მიწოდების ორგანიზებას გარკვეული დრო სჭირდება, რეკომენდებულ პრაქტიკას წარმოადგენს დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების ბაღში რეგისტრაცია თანატოლებზე ადრე, საყოველთაო რეგისტრაციამდე ხდებოდეს.

ამ პრაქტიკის დანერგვით, ერთი მხრივ, მშობელს ექნება მეტი შესაძლებლობა, ბავშვი ჩართოს იმ სკოლამდელი განათლების დაწესებლებაში, რომელიც მან, თავისი შვილის საჭიროების გათვალისწინებით, ყველაზე რელევანტურად განსაზღვრა; ხოლო მეორე მხრივ, ბაღს ეძლევა მეტი დრო გაიცნოს ბავშვი, გაერკვეს მის საჭიროებებში და შესაბამისად, მოემზადოს ბავშვისთვის საჭირო მხარდაჭერის მისაწოდებლად.

აღნიშნული ხედვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ბაღში საყოველთაო რეგისტრაციამდე გამოცხადდეს პირველადი რეგისტრაციის ვადები, რომლის დროსაც ბაღში დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცემათ ბავშვებს, რომლებიც წარმოადგენენ შემდეგ სოციალურ ჯგუფებს - არიან სახელმწიფო შემწეობის მიმღები ოჯახის წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მარტოხელა მშობლის შვილები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები ან ბავშვები, რომლებსაც სპეციალისტის მხრიდან დადასტურებული აქვთ ჯანმრთელობასთან ან განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროება - მაგალითად, განვითარების სფეროების დაყოვნება.

ადრეული რეგისტრაციის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, რითიც ბავშებს უდასტურდებათ არსებული საჭიროებები, განსაზღვრავს ბაღის ადმინისტრაცია ბაღების გაერთიანებასთან შეთანხმებით. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სტატუსის დასადასტურებლად და ბავშვებისთვის ადრეული რეგისტრაციის უფლების მისანიჭებლად, მშობლებმა უნდა წარმოადგინონ:

- **მშობლის წერილობითი განცხადება**
- **ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი**
- **სამედიცინო დოკუმენტაცია - N#IV-100/a (იგივე ფორმა 100)**
- **სამედიცონო-სოციალური ექსპერტიზის ფორმა # IV-50 (ფორმა 50)**
- **და / ან სპეციალისტების შეფასების შედეგები, რომლებიც ასახავს ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებას.**

პირველი სამი დოკუმენტის წარმოდგენა ხდება სტანდარტულად, ყველა ბავშვის შემთხვევაში, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სტატუსის დადასტურების საჭიროება ვლინდება.

ამავდროულად, ბავშვის დამატებით მხარდაჭერის საჭიროებაში უკეთ გარკვევის მიზნით, შესაძლებელია ბაღის ადმინისტრაციამ საჭიროდ განსაზღვროს ბავშვის და მშობლის შეხვედრა მხარდამჭერ სპეციალისტთან (რომელიც მოცემულ ბაღშია ჩართული, ან თანამშრომლობს აღნიშნულ ბაღთან). აღნიშნული სპეციალისტის ჩართვის მიზანია, ბაღი საფუძვლიანად გაერკვეს ბავშვის საჭიროებებში იმისათვის, რომ ეფექტურად შეძლოს მათზე რეაგირება. შესაძლებელია, ასევე, სპეციალისტებმა უარყონ მშობლის ხედვა ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ, რამდენადაც იმ მომენტისთვის ვერ დაადასტურონ ბავშვთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები, რომლებიც ბაღის მხრიდან განსაკუთრებულ და ადრეულ რეაგირებას საჭიროებს.

ამ შემთხვევაში, ბავშვი ვერ დარეგისტრირდება ბაღში პირველადი რეგისტრაციის ვადებში, და მას მოუწევს ბაღს განმეორებით მიმართოს საყოველთაო რეგისტრაციის ვადებში. თუმცა, ამის მიუხედავად, ამ ბავშვისთვის (ისევე როგორც ყველასთან) მოხდება ბაღში ტრანზიციის მხარდამჭერი პროგრამის/აქტივობების შეთავაზება და ბაღში მისი უმტკივნეულოდ ტრანზიციის დაგეგმვა.

დამატებით, მშობელს განემარტება, რომ თუ ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება/ები გამოვლინდება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში, მათზე აუცილებლად მოხდება დაუყოვნებელი რეაგირება.

ადრეული რეგისტრაციისას იდენტიფიცირებული ბავშვების საჭიროებებზე რეაგირება

დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების ადრეული რეგისტრაცია იგეგმება, იმისათვის, რომ ბაღს ჰქონდეს საკმარისი დრო ბავშვისთვის საჭირო მხარდაჭერის დასაორგანიზებლად.

იმისათვის, რომ ბაღმა ეფექტურად და დროულად შეძლოს ბავშვებისთვის საჭირო მხარდაჭერის მიწოდება, ბაღი ვალდებულია:

ყურადღებით შეისწავლოს პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული ბავშვების დოკუმენტაცია, დარწმუნდეს, რომ დარეგისტრირებული ბავშვები მართლაც საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას; იმ შემთხვევაში, თუ ბაღს ჰყავს მულტიდისციპლინური გუნდი ან დამატებითი მხარდამჭერი სპეციალისტები, მნიშვნელოვანია მათი ჩართვა აღნიშნულ ეტაპზევე ხდებოდეს;

საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია, ბაღის ადმინისტრაციამ მხარდამჭერი სპეციალისტების ჩართულობით უკეთ შეისწავლოს ბავშვის საჭიროებები, ბავშვებთან და მათ მშობლებთან შეხვედრების საფუძველზე;

შეიმუშაოს დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნის გეგმა ბავშვის შეფასების შედეგზე დაყრდნობით და მულტიდისციპლინური გუნდის წევრთა რეკონედაციის გათვალსიწინებით;

თუ ბაღს არ ჰყავს დამატებითი მხარდამჭერი კადრი (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი) და მათი საჭიროება შეფასების საფუძველზე გამოვლინდა, ბაღმა დაუყოვნებლივ უნდა წამოიწყოს შესაბამისი კადრის ჩართვისთვის პროცედურები;

ბაღი ვალდებულია განსაზღვროს ჯგუფი და აღმზრდელ-პედაგოგი, სადაც დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვი ჩაირიცხება; აღმზრდელ-პედაგოგის განსაზღვრის პროცესში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება ვალდებულია გაითვალისწინოს მისი კომპეტენცია და გამოცდილება;

ბაღში რამდენიმე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვის რეგისტრაციის შემთხვევაში ჯგუფისა და აღმზრდელ-პედაგოგის განსაზღვრის პროცესში სკოლამდელი

აღზრდისა და განათლების დაწესებულებავალდებულია გონივრულად გადაანაწილოს ბავშვები ჯგუფებში;

მიაწოდოს და გააცნოს აღმზრდელ-პედაგოგებს ბავშვების დოკუმენტაცია;

ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვროს მხარდამჭერი გუნდი, რომელიც დაკომპლექტდება იმ სპეციალისტებისგან, რომელთა ჩართულობის საჭიროებაც გამოვლინდება ბავშვის შეფასების შედეგად და რომლებიც მისაწვდომია ბაღისთვის;

უზრუნველყოს მხარდამჭერი გუნდის შეხვედრა ბავშვის მშობელთან და/ან კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთგაცნობის და მშობლის ხედვის, მოლოდინების და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით; ბაღი ვალდებულია დააოქმოს აღნიშული შეხვედრა და ინფორმაცია განათავსოს ბავშვის პირად საქმეში;

აღნიშნულ შეხვედრაზე ბაღმა უნდა განსაზღვროს დამატებითი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე და/ან საგანმანათლებლო პროცესში, და რაც ხელს შეუწყობს ბავშვის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესთან უკეთ ადაპტაციას, ჩართვას და ეფექტურ განათლებას;

ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს შეხვედრაზე განსაზღვრული ღონისძიებებისთვის დაუყოვნებელი პრაქტიკული განხორციელება - მაგალითად, რესურს ოთახის აღჭურვა ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით, ადაპტური ავეჯის უზრუნველყოფა, ტრანსპორტირების საკითხის მოგვარებაზე ზრუნვა, აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება მათი შესაბამის ტრენინგებზე ჩართვის გზით და სხვა;

უზრუნველყოს ბავშვის მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება აქტივობების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მათგან ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში.

ბაღი ვალდებულია აღნიშნული აქტივობების განხორციელება დაიწყოს დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მალევე და დაასრულოს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ გონივრულ ვადაში.

აღნიშნული პროცედურების და ვადის დაცვით, ბაღი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვებს მომზადებული დახვდება.

საყოველთაო რეგისტრაციის დროს დარეგისტრირებული ბავშვების საჭიროებებზე რეაგირება

ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია განახორციელოს ანალოგიური პროცედურები იმ დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ბაღში ვერ დარეგისტრირდნენ პირველადი რეგისტრაციის დროს და ეს მხოლოდ საყოველთაო რეგისტრაციისას განახორციელეს.

თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ბაღი დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვს ნაკლებ მომზადებული ან არასრულად მომზადებული დახვდება. ამავდროულად, ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვის საჭიროების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა პრიორიტეტად განსაზღვროს და გონივრულ ვადაში დააკმაყოფილოს ის.

ანალოგიურად იქცევა ბაღი იმ შემთვევაში, თუ რომელიმე ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ გაცხადდა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის დაწყების შემდეგ, რადგან აღნიშნული საჭიროებები არ იყო იდენტიფიცირებული რეგისტრაციის ეტაპზე.

ბაღში ინკლუზიური გარემოს განვითარების სტრატეგიული გეგმის არსებობა

მიუხედავად იმისა, რომ ბაღის ადმინისტრაციას ყოველწლიურად უწევს კონკრეტული ბავშვების საჭიროებაზე რეაგირება და ცვლილებების განხორციელება აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით, ბაღის ვალდებულებაა ჰქონდეს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა ბაღში ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის/გაუმჯობესებისთვის.

კონკრეტული ბავშვების საჭიროებაზე ზრუნვა არ ათავისუფლებს ბაღს ვალდებულებისგან, ჰქონდეს სტრატეგიული ხედვა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მისი გარემო, რომ იმთავითვე მომზადებული დახვდეს ბავშვების მრავალფეროვან ჯგუფებს, რაც შეამცირებს კონკრეტული ბავშვის საჭიროებით განპირობებული ცვლილებების მოკლე დროში განხორციელების საჭიროებას.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია შემდეგი: დაუშვებელია, ბაღის ადმინისტრაცია ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის ხელმძღვანელობდეს მხოლოდ თავისი სტრატეგიული გეგმით და ამის გამო უარს ამბობდეს კონკრეტული ბავშვის საჭიროების დაკმაყოფილებაზე, თუ ბავშვისთვის მიზანშეწონილად განსაზღვრული ღონისძიებები არ ემთხვევა სტრატეგიულ დოკუმენტში ასახულ აქტივობებს. ანალოგიურად, არ არის რეკომენდებული, ბაღი წლიდან-წლამდე ხელმძღვანელობდეს, მხოლოდ ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებებით ცვლილებების განსახორციელებლად და არ ჰქონდეს სტრატეგიული ხედვა და გეგმა ბაღის ინკლუზიურობის გაუმჯობესებისთვის. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მაღალია რისკი იმისა, რომ ბაღის მიერ გატარებული ღონისძიებები იქნება წერტილოვანი და არ ექნება მასშტაბური გავლენა ბაღში ინკლუზიური გარემოს ფორმირებაზე.

მაშასადამე, აქტივობები, რომლებიც განსაზღვრულია ბაღის სტრატეგიული გეგმით და განპირობებულია კონკრეტული ბავშვის საჭიროებით, პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

ბაღის ადმინისტრაცია უნდა აცნობიერებდეს, რომ ინკლუზიური გარემოს ფორმირება პროცესია და ის წლიდან წლამდე უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. ამავდროულად, ბაღს უნდა ჰქონდეს მიმღებლობა იმისა, რომ ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები ყოველწლიურად დააყენებენ ბაღს ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე და მოითხოვენ მისგან ცვლილებებს.

სვლა ინკლუზიური გარემოსკენ	**სვლა ინკლუზიური გარემოსკენ**
ბაღის სტრატეგიული გეგმა ინკლუზიური გარემოს ფორმირებისთვის	ცვლილებების გეგმა კონკრეტული ბავშვების საჭიროების გათვალისწინებით

მეტიც, ბაღს შესაძლებელია მოუწიოს ერთხელ გატარებული ცვლილების ისევ მოდიფიცირება. მაგალითად, თუ კონკრეტული ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით, ბაღის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ჯგუფებში ფიზიკური გარემოს ცვლილება, შემდეგ წელს მას შესაძლებელია დასჭირდეს გარემოს კიდევ ერთხელ მოდიფიცირება და უკვე განხორციელებული ცვლილების გადასხვაფერება.

ის, თუ რამდენად მოქნილია ბაღის ადმინისტრაცია და მისი პერსონალი აღნიშნული საკითხების მიმართ, არის ბაღის ინკლუზიურობის ერთ-ერთი ინდიკატორი.

ბაღის ინკლუზიურობის განვითარების გეგმა შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

სტრატეგიული აქტივობები	აქტივობები	ვადები
ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობის ზრდა		
ბაღის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება		
ბაღის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაუმჯობესება		
ბაღის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გაუმჯობესება		
პარტნიორობა რეგიონში/მუნიციპალიტეტში არსებულ უწყებებთან		
ბაღში ტრანზიციის მხარდამჭერი პროგრამების დანერგვა		
ბავშვების დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირება		
დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვთა დოკუმენტაციის წარმოების გაუმჯობესება		
მშობელთა მხარდამჭერი კლუბის დაფუძნება		

სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის შემდეგ, ბაღის ადმინისტრაცია თავის თანამშრომლებთან ერთად განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს თითოეული მიმართულების ფარგლებში და აქტივობების განხორციელების ვადებს.

სწორად შერჩეული სტრატეგიული ხედვა, ბაღის თანამშრომლების მხრიდან დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება, შესაბამის უწყებებთან ეფექტური თანამშრომლობა, მშობლების ჩართულობა და რაც მთავარია ყოველი ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება ბაღის გარემოს ფორმირებაში ხარისხიანი სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნის წინაპირობაა და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის განვითარებას, ემოციურ კეთილდღეობას და მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, რაც სკოლამდელი განათლების სისტემის დანიშნულების უმთავრესი ელემენტებია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (2016) https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237

2. 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798

3. 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/ document/view/3837404

4. Katz, J. (2013). The Three Block Model of Universal Design for Learning (UDL): Engaging students in inclusive education. Canadian Journal of Education / Revue Canadienne de l’éducation, 36(1), 153–194. http://www.jstor.org/stable/canajeducrevucan.36.1.153

5. Sapon-Shevin, M. (1983). Teaching Children about Differences: Resources for Teaching. Young Children, 38(2), 24–32. http://www.jstor.org/stable/42721003